

საქართველოს ბიბლიოთეკა № 3
გამოცემა „კოლპერაციის“ რედაქციისა

ბ. ვ. შიხნერი:

კოლპერაციის სისებება

- I. რა არის კოლპერაცია?
- II. საიდან და რატომ მომდინარეობს
კოლპერაციის განვითარება?
- III. რატომ ასრულებს კოლპერაცია თავის
დანიშნულებას?

თარგმანი

იასონ გაშილავასი

ფასი 1 აბაზი

ქუთაისი

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ქუთ. განყ. სტამბა

1914



საქოლპერასიო ბიბლიოთეკა № 3
გამოცემა „კოლპერაციის“ რედაქციისა

ბ. ვ. გიბნეაძე:

კოლპერაციის სისწავლა

36087

- I. რა არის კოლპერაცია?
- II. საიდან და რატომ მომდინარეობს
კოლპერაციის განვითარება?
- III. რატომ ასრულებს კოლპერაცია თა-
ვის დანიშნულებას?

თარგმანი

იასონ გაშვილიასი

ქუთაისი

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ქუთ. განყ. სტ.



1914

1. რა არის კოოპერაცია?

ყველა ჩვენთაგანს არა ერთხელ გაუგონია და წაუკითხავს სიტყვა „კოოპერაცია.“ ეს სიტყვა ამ ბოლო ხანებში ხშირათ იხმარება ჩვენშიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა საჭიროება მოითხოვს მის ახსნა-განმარტებას, ადვილი არ არის გასაგები და, მით უმეტეს, ერთნაირი პასუხის მიღება. ამიტომ, ვიწყებთ რა საუბარს კოოპერაციაზე, უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა არის კოოპერაცია და რას ნიშნავს ეგრეთ წოდებული „საკოოპერაციო მოძრაობა.“

დავიწყოთ შორიდან.

კაცობრიობას მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს და ამ ისტორიას ახასიათებს მუდმივი ბრძოლა არსებობისათვის. ამ ბრძოლაში ხალხი თანდათან იწრთვნება, იმორჩილებს ბუნებას, იყენებს მის ძალებს შრომა-ცხოვრების გასაადვილებლათ და აღწევს იმ მდგომარეობამდე, რომელსაც განიცდის ახლა.

მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ განცალკევებულათ ადამიანი წარმოადგენს უმწეო არსებას და მხოლოდ საკუთარის ძალ-ღონით ის ვერ მოაღწევდა ასეთ მდგომარეობამდე.

ამკარაა, ყოველი გამარჯვება, ყოველი წინსვლა შედეგია ურთიერთ დახმარებისა, შეერთე-

ბული ძალით მუშაობის, შეკავშირებული ანუ **ორგანიზაციული** შრომის.

თავის თავად ცხადია ისიც, რომ შრომის ორგანიზაცია არ არის ადვილი საქმე. არსებითად იგი შემზღუდველია პირადობის და მყარდება არა ნება-ყოფლობით, არამედ იძულებით, და ეს იმიტომ, რომ ერთმანეთის დაუხმარებლათ—შრომის გაუნაწილებლათ—შეუძლებელია ცხოვრება, მოუფიქრებელია რაიმე საზოგადოების არსებობა.

საშუალებანი და ფორმები ასეთი იძულებითი ორგანიზაციისა განისაზღვრებიან დროის მიხედვით და დამოკიდებულნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრების **კულტურული** პირობებისაგან. რამდენათ უფრო მაღლა დგას ხალხის კულტურა, იმდენათ უფრო განვითარებულია შრომის ორგანიზაცია.

რამდენათ უფრო განვითარებულია შრომის ორგანიზაცია, იმდენათ უფრო მეტია ნაყოფი როგორც პირადის, ისე შეერთებულის შრომისა, იმდენათ უფრო ნაკლებ დროს ანდომებს მუშა განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას, იმდენათ უფრო მეტ თავისუფლებას პოულობს იგი და იმდენათვე უფრო დამოუკიდებელი ხდება სამუშაოსაგან, იმდენათ უფრო მეტ დროს ანდომებს ის თვითგანვითარებასა და საერთო-საზოგადო საქმეს.

აი რას მოგვითხრობს ისტორია შრომის იმ ორგანიზაციებზე, რომელთაც შექმნეს დღევანდელი ჩვენი კულტურა:

მრავალი ათასი წლის განმავლობაში სუფევდა მონობა. ადამიანები ადამიანებს ატყვევებდნენ

და დატყვევებულთ ამუშავებდენ ისე, როგორც ახლა შინაურ ცხოველებს. ძველი საბერძნეთის ათინის რესპუბლიკაში 30,000 სრულ-უფლებიან მხედარ-მოქალაქეთ ეკუთნოდა 200,000 მონა, რომელნიც ასრულებდენ ყოველნაირ სამუშაოს ჯოჯოხეთურ პირობებში. პირდაპირ გულის შემზარავ სურათს გადმოგვცემს რომაელი იულიოს ცეზარი (ცხოვრობდა რამდენიმეთ ადრე ქრისტეს დაბადებამდე) მონების ცხოვრებიდან. გალღეაში მოგზაურობის დროს მას თავის თვალთ დაუნახავს, რომ მონები ზედამხედველთა უმოწყალო სახრის ქვეშ ამუშავებდენ ყანებს. თითქმის ჩვენ თვალწინ, იულიოს ცეზარის ცხოვრებიდან 1600 წლის შემდეგ, მეთექვსმეტე საუკუნეში, მთელ ამერიკას ახენვეინებდენ ზანგ-მონებს იმავე პირობებში, რანაირსაც აგვიწერს ცეზარი.

თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც, კულტურის განვითარებასთან ერთად მონების მდგომარეობა თანდათან მსუბუქდება და ბოლოს ევროპაში მის ადგილს იკავებს სხვადასხვა სახის ბატონ-ყმობა.

როგორც მონობის, ისე ბატონ-ყმობის ხანაში შრომის ორგანიზაციას განაგებდენ მცირე რიცხოვანი ბატონები.

მონები ხშირათ ახდენდენ აჯანყებას ბატონების საწინააღმდეგოთ, ხანდისხან გამარჯვება მათკენ რჩებოდა, მაგრამ არსებითად იცვლებოდა ვინაობა „ბატონებისა“, ხოლო შრომის ორგანიზაციის სისტემა რჩებოდა იგივე—სხვანაირი ხალხმა მაშინ არ იცოდა და არც იყო შესაძლო კულტურის მაშინდელ პირობებში.

თანდათანობით ბატონყმობასაც ეღება ბოლო (საფრანგეთში 1790 წ., გერმანიაში 1805 წ., რუსეთში 1863 წ.) და ცხოვრება ეწყობა პირადი თავისუფლების საფუძვლებზე.

ასე მომდინარეობდა შრომის ორგანიზაციის განვითარება ძველი დროიდან. ზ, რაკი შრომა ძველადაც განსაზღვრულ ორგანიზაციის ფარგლებში სწარმოებდა, ამიტომ ხალხმა თანდათანობით შეიძინა ცოდნა-გამოცდილება და ის აუარებელი ღირებულება, რომლისგანაც წარმოიშვა დღევანდელი ჩვენი კულტურა.

ჩვენმა საუკუნემ უარყო შრომის ორგანიზაციის იძულებითი სისტემა და მის ნაცვლად განამტკიცა ახალი ძალა—**კაპიტალი**.

თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში წარმოებას განაგებენ კაპიტალისტები, კერძო პირები, ანუ ჯგუფი ისეთი პირებისა, რომელთაც მოუგროვებიათ თავიანთ ხელში ფული, შეუძენიათ საწარმოო იარაღები და შეუქმნიათ წარმოებისა და ნაწარმოების გასაღების ორგანიზაცია. მათთან ხდება პირის-პირ დაპირდაპირება მუშებისა, რომელთაც არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ ნება-ყოფლობით დაემორჩილონ მათს ხელმძღვანელობას.

კაპიტალისტურ ორგანიზაციამ გამოიწვია აუარებელი სიმდიდრის შექმნა და დიდათ შეუწყო ხელი კულტურის წინსვლასა და განვითარებას. გაადვილდა დედამიწის თითქმის ყოველ ადგილზე საჭირო მუშა ხელთა თავის მოყრა და წარმოების მორთვა გაუმჯობესებული ტექნიკით. სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ მეცნიერულ ცოდნათა განვითარება, შემეცნება-გამოგონების სა-

ქმე და, რაც ძლიერ საყურადღებოა, ახალ გამოგონებათა განსახორციელებლათ და განსავითარებლათ მუდამ მზათ არის საჭირო კაპიტალიზმის ნაყოფს ახალი გამოგონებანი კიდევ უფრო აღიდებენ.

ნაკლებათ შეეხო კაპიტალისტური წყობილება კულტურულ ცხოვრების მეორე მხარეს— დამოუკიდებლობას, შრომის თავისუფლებას. მართალია, როგორც წინეთ აღვნიშნეთ, შრომის ორგანიზაციაში ახლა პირდაპირ ძალადობას არა აქვს ადგილი, მაგრამ დღევანდელს პირობებში შეუძლებელია უკაპიტალოთ რაიმე საწარმოო ორგანიზაციის შექმნა და ამიტომ მუშები ფაქტიურად დამოკიდებულნი არიან კაპიტალისტებისაგან.

რამდენიმეთ სხვაფრივ მოეწყო საქმე სოფლის მეურნეობაში. წვრილი მესაკუთრენი ნაკლებათ განიცდიან ახალი ორგანიზატორ — კაპიტალის გავლენას, მაგრამ, სამაგიეროთ, შრომის ნაყოფიერობა აქ ნაკლებათ ეძლევა წარმატებას და თვით შრომის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში უარესადაა დაყენებული ახლა, ვინემ წინეთ.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, კაპიტალისტურმა წარმოებამ მოკლე დროს განმავლობაში ერთობ გარდაქმნა ძველი წყობილება და დაამყარა სულ ახალი ფორმა ცხოვრებისა. თვალი რომ გადავავლოთ უკანასკნელ 70—100 წლის ცხოვრებას, რაც ისტორიისათვის თვალის ერთ დახამხამებას წარმოადგენს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაცილებით მეტი ცვლილება მომხდარა ამ მცირე დროს განმავლობაში, ვინემ რამდენიმე საუკუნეში ერთად წი-

ნანდელ ხანებში. დაპყრობა ხმელეთისა, ზღვისა და ბოლოს... ჰაერის: რკინის გზა, ორთქლ — მავალი, მფრინავი მანქანები, საყოველთაო განათლება, ფოსტა-ტელეგრაფი, ჟურნალ-გაზეთები, შემნახველი კასები, ბანკები, დაზღვევა, ყოველნაირი საზოგადოება და კავშირი, პირადი თავისუფლებისა და ქონების უზრუნველყოფა, — ყველა ესენი და მრავალი სხვა ხომ უკანასკნელი 50—100 წლის საქმეა! ისე გაადვილდა მისვლამოსვლა და მიწერ-მოწერა, რომ გგონია თითქო მთელი ქვეყნის ხალხი ცხოვრობს და მუშაობს ერთსა და იმავე ადგილას. მცხოვრებთა გარეგნულმა დაახლოებამ გამოიწვია მათი ზნეობრივი დაახლოება. მეტი გაგება ერთმანეთის. მეტი საზოგადოებრიობა და საუკეთესო პირობების დაახლოება, — აი საითკენ მიისწრაფვის დღევანდელი ჩვენი ცხოვრება.

თვით ორგანიზატორ-კაპიტალმაც შეიცვალა სახე. კაპიტალისტურ წარმოების დასაწყისში სამრეწველო დაწესებულებათა დამაარსებლათ გამოდიოდა რამდენიმე მდიდარი ანუ წევრთარისცხვით განსაზღვრული ამხანაგობები. ახლა კი აარსებენ უმეტესად უსახელო, წევრთარისცხვით განუსაზღვრელ სააქციონერო საზოგადოებებს და ამ საზოგადოებებს აერთებენ სინდიკატებისა და ტრესტების სახით. ამნაირათ, კაპიტალიც საზოგადო ხასიათს ღებულობს.

ცხადია, რომ ყველა ამას უნდა გამოეწვია შრომის ორგანიზაცია — თანამშრომლობის შესაფერი განვითარება. კაპიტალისტურმა წარმოებამ თვითონვე მოიძადა მემკვიდრე და გაუწმინდა მას გზა — ისე, როგორც მონობის ხანამ — ბატონ-

ყმობას, ან უკანასკნელმა-თვით კაპიტალისტურს. ახალი, მაღალი კულტურის მეოხებით წარმოიშვა და ჩქარი ნაბიჯით იკაფავს გზას შრომის ახალი ორგანიზაცია, კაპიტალისტურზე არა ნაკლებ ნაყოფიერი და მასთან მასზე უფრო კულტურული, სამართლიანი და თანამედროვე ცხოვრების შესაფერი.

ეს ახალი შემაკავშირებელი ძალა არის — **კოოპერაცია**.

პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, სიტყვა „კოოპერაცია“ ნიშნავს თანამშრომლობას, შეერთებული ძალით მუშაობას.

მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ფაქტიურათ თანამშრომლობა მომდინარეობს კაცობრიობის დასაწყისიდან. სიახლე კოოპერატიული ფორმისა მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზატორის როლი აქ ეკუთნის ამა თუ იმ საქმით დაინტერესებულ პირთა შორის ნებაყოფლობითს შეთანხმებას, და არა კაპიტალსა და, მით უმეტეს, გარეშე ძალმომრეობას. ამნაირი შეთანხმების მიზანია შრომის პირობების გაუმჯობესება, მშრომელთა კეთილდღეობა, და არა კაპიტალის ზრდაგანვითარება. კოოპერატიული ორგანიზაცია საშვალებას აძლევს თავის წევრებს შეაგროვონ საკმაო თანხა და გააუმჯობესონ, განავითარონ წარმოებისა და ნაწარმოების გასაღების პირობები. საჭიროების დროს კოოპერაცია იზიდავს გარეშე კაპიტალსაც და აძლევს მას კანონიერ პროცენტს, როგორც საობლიგაციო სესხს.

თანამედროვე კულტურული პირობები შესაძლოთ ხდიან შრომის ასეთ ორგანიზაციებს, რადგან უკვე მომზადებულია საამისო პირობე-

ბი: 1) ხალხი შეეჩვია ორგანიზაციულ მუშაობას, 2) მზათ არის კაპიტალი, რომლით სარგებლობა თანდათან ადვილდება კოოპერაციისათვის, ვინაიდან უკანასკნელის განვითარებით თანდათან ეცლება (ბოლოს კი მთლად ჩამოშორდება) კაპიტალს ორგანიზატორის როლი და ის ვერ მოიპოვებს კოოპერაციაზე უფრო სასარგებლო ასპარეზს და 3) მისვლა-მოსვლისა, მიწერ-მოწერისა და საქონლის გადატან-გადმოტანის საქმე ისე გაადვილდა, რომ ადვილათ შესაძლოა მრავალი შუამავლის ჩამოშორება და მართვა-გამგეობისათვის საჭირო ცოდნა — გამოცდილების შექმნა.

ამნაირათ, რომ აღვსახოთ მოკლეთ შრომის ახალი ორგანიზაციის ნიშნები, ჩვენ მივიღებთ სიტყვა „კოოპერაციაზე“ შემდეგ განმარტებას.

კოოპერაცია არის ახალი ფორმა მშრომელთა დამოუკიდებელი და ნებაყოფლობითი შეკავშირებისა, რომლის მიზანია წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების ასპარეზზე თანამშრომლობის გაჩაღებით შრომის ნაყოფით თვით შრომის დაჯილდოება, და არა კაპიტალის, რომელსაც შესაძლოა მიეცეს მხოლოდ კანონიერი პროცენტი.

შემდეგ საუბრებში ჩვენ დაწვრილებით შევეხებით ამ საგანს და დავინახავთ, თუ როგორ უნდა შეასრულოს შრომის კოოპერატიულმა ორგანიზაციამ ის დანიშნულება, რომელსაც ასრულებს ახლა კაპიტალი — ორგანიზატორი.

მაშ, დავიმახსოვროთ ზემომოყვანილი განმარტება კოოპერაციაზე და ჩქარა შევეუდგეთ იმის

გაგებას, თუ საიდან წარმოიშვა საკოოპერაციო მოძრაობა.

როცა ჩვენ გავეცნობით შრომის ახალი ორგანიზაციის მახლობელ ისტორიას, მაშინ შესაძლოა აღვიღათ მივხვდეთ ყველა იმას, რაც ჯერ კიდევ გაუგებარია ჩვენთვის სიტყვა „კოოპერაციაში.“



II. საიდან მომდინარეობს

საკოოპერაციო მოძრაობა?

ბუნებას ადამიანისათვის მიუნიჭებია ძვირფასი თვისება—არ დაკმაყოფილდეს იმით, რაც აქვს, და ყოველთვის ეძიოს კიდევ უკეთესი. უამისოდ ჩვენ არ გვექნებოდა დღევანდელი კულტურა, ამ თვისებით აიხსნება ჩვენი მისწრაფება მომავლისკენ, სადაც იშლება ცხოვრების უკეთესი პირობები, ნეტარება სამართლიანობისა და საერთო ბედნიერებისა: ოცნება ხშირათ ძლიერაშორებს ადამიანს სინამდვილისაგან. ოცნების მორევში არ უწყვენ ანგარიშს არავითარ დაბრკოლებას, სავსებით ივიწყებენ დღევანდელი ადამიანის ნაკლულევანებებს და ისახვენ პირდაპირ იდეალურ ადამიანს იდეალურ პირობებში. ასე მოიქცა 1516 წელს ინგლისელი ტომას მორი, რომელმაც გამოსცა შესანიშნავი წიგნი კუნძულ უტოპიაზე, სადაც მისი წარმოდგენით ადამიანები ცხოვრობდნენ ახალ, უკეთეს პირობებში და აღჭურვილი იყვნენ თანასწორ უფლებებითა და საერთო ბედნიერებით.

მორის შემდეგ ისეთ აზროვნებას ანუ ოცნებას იმაზე, რაც არ არის დამყარებული ცხოვ-

რების სინამდვილეზე, დაერქვა უტოპია. ამას წინეთ კიდევ გამოვიდა ასეთი წიგნი: „ასი წლის შემდეგ,“ რომელიც დაწერილია ამერიკელი ბელ-ლამის მიერ.

კოლონიალიზმის იდეა არ წარმოშობილა უტოპიისაგან. პირველი მისი ფორმები გამოწვეულია არსებობისათვის ენერგიული ბრძოლით. შემდეგ კი ფართე შემეცნებამ გააშუქა კოლონიალიზმის ძლიერ შორეული მომავალი, ოცნება აირია სინამდვილეში და იყო დრო, როცა საკოლონიალიზმის მოძრაობა ეს-ეს არის უნდა გადაქცეულიყო ტკბილ — საამო და სანეტარო, მაგრამ განუხორციელებელ უტოპიათ. მაგრამ ამ განსაცდელისაგან კოლონიალიზმი იხსნა ხალხის პრაქტიკულმა სიბრძნემ, რომელმაც ყველა გაგონილ — გაკეთებულისაგან რაც უფრო სასარგებლო იყო და პრაქტიკული შეუხამა ცხოვრების სინამდვილეს და დააარსა პრაქტიკული დაწესებულებანი, რომელთა შესანიშნავი ზრდა-განვითარება უქადის კაცობრიობას თუ არ ოქროს საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, შრომის ორგანიზაციის ძირითად ცვლილებასა და გაუმჯობესებას.

კოლონიალიზმის სამშობლოა ინგლისი — ლამაზი ვეროპის კულტურისა.

1800 წლებში ინგლისში დატრიალდა ძლიერ ცუდი პირობები. ვეროპის ყველა სახელმწიფოებს მაშინ განაგებდა ყოვლისშემძლე ნაპოლეონ I. ინგლისი მოსისხლე მტერი იყო მისი და იგი განაგრძობდა მასთან ბრძოლას მანამდე, სანამ მთლად არ დაიღუპა მისგან. ამ ხანგრძლივმა ომმა თავისთავად ძლიერ დააუძლურა ქვეყანა,

მაგრამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ხალხზე ერთმა ბრძანებამ, რომელიც გასცა ნაპოლეონმა დაქვემდებარებული სახელმწიფოებისადმი — ინგლისთან ვაჭრული დამოკიდებულების აკრძალვამ. ამ ბრძანების სავსებით დაცვა ნაპოლეონმა ვერ შესძლო, მაგრამ მაინც პურის შემოტანა ინგლისში სხვა სახელმწიფოებიდან ძლიერ შეეძირდა. იმავე დროს ბევრი წყლის წისქვილები გადააკეთეს საფეიქრო მანქანებათ, რადგან ბევრი მაუდი იყო საჭირო ჯარისკაცებისათვის, — ორთქლის მანქანა კი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი. დარჩენილმა წისქვილებმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით და იმდენათ ასწიეს ფასი პურზე, რომ ხალხის შეძლებულ ნაწილსაც კი უჭირდებოდა პურის ყიდვა.

აი ასეთ მძიმე პირობებში ქალაქ გულოის დაინტერესებულმა მცხოვრებლებმა დააარსეს პირველი კოოპერატიული დაწესებულება. საინტერესოა თხოვნა, რომელიც მათ მიუციათ 1795 წ. თავის მაგისტრატისათვის. ისინი სწერდენ:

„ჩვენ, ღარიბი მოქალაქენი, ძლიერ გასაჭირში ჩავვაგდო პურის გაძვირებამ. ამისგამო ჩვენ დავაწესეთ გადასახადი. თითოულმა ჩვენთაგანმა 4 კვირის განმავლობაში ზედიზედ უნდა იხადოს თითო შილინგი და 1 პენსი (დაახლოვებით 53 კაპ.), ხოლო შემდეგი ოთხი კვირის განმავლობაში ექვს-ექვსი პენსი, რაც შეადგენს 6 შილინგსა და 4 პენსს თითოეულ კაცზე; ამ ფულებით უნდა ავაშენოთ წისქვილი, რომელიც უნდა იქნეს დამაარსებლებისა, მათი მემკვიდრეთა, ანდერძის აღმასრულებლებისა, გამგეთა და დელეგატების განაკარგულებაში. მაგრამ,

რაკი ჩვენ ვიცით, რომ მოგროვილი თანხა არ იქნება საკმაო ჩვენი განზრახვის განსახორციელებლათ, ამიტომ უმორჩილესად ვითხოვთ თქვენს მოწყალებას — გაგვიწიეთ დახმარება, ნივთიერი და რჩევა — დარიგებითი, რომ არამც თუ ჩვენ, არამედ ჩვენი შვილებიც, რომელნიც აწ დაიბადებიან, იყვნენ თქვენი მლოცველები.“

წისქვილი ააშენეს და მას ისეთი წარმატება მიეცა, რომ 10 წლის შემდეგ ადგილობრივმა მეწისქვილეებმა საჩივარი შეიტანეს სასამართლოში და მოითხოვეს ამ წისქვილის დახურვა: „რადგან იგი დიდ ზარალს გვაყენებენო.“ 1811 წლის 1 აგვისტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაარჩია ეს საჩივარი და — დარწმუნდა რა იმაში, რომ კოოპერატიული წისქვილი დიდ შეღავათს აძლევდა ღარიბ მოქალაქეთ — კერძო მეწისქვილეთა თხოვნა უარყო. ამ განაჩენით ინგლისში კოოპერაციამ მოიპოვა მოქალაქობრივი უფლება, თუმცა მას შემდეგ კიდევ მრავალმა წელმა განვლო აფიციალურათ საკოოპერაციო კანონის გამოცემამდე. ეს წისქვილი ქ. გულლში ახლაც არსებობს. პირველი კოოპერატიული წისქვილის გამარჯვებამ გამოიწვია მრავალი მაგალითი. იმავე საფუძვლებზე ინგლისის სხვადასხვა ადგილებში დააარსეს საზოგადო ფურნე და დუქნები. მათი უმთავრესი მიზანი იყო რაც შეიძლება იაფად პირველ მოთხოვნილების სანოვაგეთა მიწოდება თავის წევრებისათვის. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადვილი შეიქნა, რადგან შეძლებული პირები სიამოვნებით იძლეოდნენ დახმარებას ამ სასარგებლო საქმისთვის, — საერთო სახალხო უბედურება მდიდარ ინგლი-

სელებში ყოველთვის იწვევს თანაგრძობას. ახალ საქმეში მონაწილეობა მიიღო სასულიერო წოდებაშიც, რომ გამოეყენებია ის სარწმუნოების განსამტკიცებლათ: ხშირათ მისი წარმომადგენლები კოოპერატიულ ფურნიდან პურის მისაღებათ საჭირო ბილეთებს არიგებდენ ეკლესიებში, წირვის შემდეგ. ახლად დაარსებული კოოპერატივების წესდება მოითხოვდა წევრებისგან ქრისტიანულ სარწმუნოებისა და ზნეობრივ მოთხოვნილებათა დაცვას.

ყველა ამ გარეგნულმა დახმარებამ ერთის მხრით ხელი შეუწყო ახალ საზოგადოებათა გავრცელება-ფანვითარებას, მაგრამ მეორე მხრივ შეაფერხა ნამდვილი კოოპერატიული პრინციპების დაცვა: საზოგადოებებს შეჰყუროდენ, როგორც საქველმოქმედო დაწესებულებებს, — ბევრი მათგანი (და არა ყველანი) შემდეგში ასეთებადაც გადაიქცენ. მაგრამ სხვა მხრივ კოოპერატიული მოძრაობის დასაწყისი ნამდვილი კოოპერატიული იყო: ყველა კოოპერატივები თავის მოქმედებას ამყარებდენ წევრთა თვითმოქმედებაზე და მათი მიზანი იყო საკუთარი ორგანიზაციის საშვალეებით ცხოვრების აუტანელ პირობების შემსუბუქება.

კოოპერაციის განვითარების მეორე ხანა (1826—1832) უფრო ფართეთ შეეხო კოოპერაციის იდეას, დავიწყებულ იქნა სინამდვილე და კოოპერაციას დროებით უტოპიის ხასიათი მიეცა: განიზრახეს კოოპერაციის საშვალეებით ერთბაშათ საყოველთაო ბედნიერების დამყარება.

მთელი ეს ხანა იმყოფებოდა რობერტ ოუენის გავლენის ქვეშ და რომ გავიგოთ კოოპერაციის

მერმედელი ისტორია, საჭიროა შევჩერდეთ ცოტათ კოოპერაციის ამ მოციქულის მოღვაწეობაზე.

რობერტ ოუენი დაიბადა 1771, მოკვდა 1858 წ. ახალგაზდობაში იგი განაგებდა პატარა საქსოვ ქარხანას, სადაც მან გამოიჩინა ისეთი უნარი, რომ მალე (1795—1801) დიდი ფაბრიკის გამგეთ მიიწვიეს ქ. ნიუ-ლანარკში,

თავის მოღვაწეობის პირველ ხანაში რობერტ ოუენი შეუდგა მუშათა საკითხისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. თავის ქარხანაში სამუშაო დრო შეამცირა 17 საათიდან $10\frac{1}{2}$ საათამდე; ასწია სამუშაო ქირა, განდევნა ბავშთა შრომა, დააარსა ბიბლიოთეკები, საავათმყოფოები, სკოლები. ფაბრიკის პატრონები ალაპარაკდნ, მაგრამ ოუენმა ისინი დააწყნარა, დაარწმუნა იმით, რომ ქარხნის შემოსავალი დიდდებოდა თანდათან და ამით დაბოლოვდა საქმე დროებით. ოუენი მოუწოდებდა მექარხნეებს და უმტკიცებდა მათ, რომ მუშები საჭიროებენ არა ნაკლებ მოვლას, ვინემ უსულო მანქანები, და თუ უკანასკნელებისთვის არ ინანებენ მოვლას, უნდა მიექცეს ყურადღება „ცოცხალ მანქანებსაცო.“ კულტურის პროგრესს ოუენი ხედავდა ადამიანთა აღზრდაში, მუშათა გონებრივსა და ზნეობრივ ამაღლებაში, და ამ სერიოზულ საქმეს ის ავალებდა მექარხნეთ. ოუენს გულდასმით უსმენდნ—ეს მოდაში იყო—მაგრამ მისგან მაგალითი არავის გადაქონდა.

მექარხნებზე გულ-გაცრუებული ოუენი მიმართავს მთავრობას და თხოვს მას სათანადო კანონების გამოცემით მუშათა მდგომარეობის გაუმ-

ჯობესებას. დაინიშნა საპარლანენტო კომისია, მაგრამ მანაც უარყო ოუენის წინადადება: ეს ის დრო იყო, როცა სახელმწიფო არ ერეოდა მცხოვრებთა სამეურნეო პოლიტიკაში. ახლა კი ოუენის მოთხოვნა საკვებით შესულია საფაბრიკო კანონებში.

ოუენი დამარცხდა ყველგან, მაგრამ ის მაინც არ დაცემულა სულით და თავისი პრაპაგანდა გადაიტანა ხალხის ფართე მასაში.

მან დაიწყო ქადაგი დამოუკიდებელ ამხანაგობების დაარსებაზე. გაათართოვა პროგრამა და მოჰფინა. მთელი ინგლისი საკოოპერაციო-ფურცლებითა და ბროშურებით. ახლა ის მოითხოვდა ისეთი კოოპერატივების დაარსებას, რომლებიდანაც საკვებით უნდა განდევნილიყო მოგების სურვილი. საქონლებზე ფასები უნდა გაწერილიყო საწარმოო ხარჯების მიხედვით. ფულის ნაცვლად საქონლის დასამზადებლათ დახარჯული დროს რაოდენობის აღსანიშნავათ უნდა შემოეღოთ განსაკუთრებული კვიტანციები. ასეთი კვიტანციებით მშრომელთ შეეძლოთ საქონლის მიღება საზოგადო მაღაზიებიდან. ოუენი ამტკიცებდა, რომ ასეთი სისტემით მთლად მოისპობა მეტოქეობა და ზედმეტი საქონლის დამზადება თანსწავლა-განათლების საქმეც წინ წავაო. ეს არის „კოოპერაცია“ ადამიანის ბუნებასთან შეზავებული და დამყარებული ურთიერთ სიყვარულზეო! „ასეთი გზით უფრო ადრე შეიძლება ქვეყნად საერთო ბედნიერების დამყარებაო.“

ოუენის პრაპაგანდის გავლენით მართლა დაარსდა ასეთი შრომის ბირჟა და საზოგადო მაღაზიები გრეი-ინში, ლონდონში, ბირმინგამში,

ლივერპულში და ლიდსში—მაგრამ ისინი ძლიერ ხანმოკლენი გამოდგენ, რადგან პრაქტიკაში უხერხული შეიქნა საათებით ღირებულების განსაზღვრა და საწყობები მალე გაივსო ისეთი საქონლებით, როლებზედაც ნაკლები იყო მოთხოვნილება.

ამავე დროს ოუენს შეაქვს თავის სისტემაში პირველი კოოპერატიულ საზოგადოებათა იდეა, თუმცა წინეთ იგი უარყოფით უყურებდა ასეთ საზოგადოებებს.

პირველი კოოპერატიული საზოგადოება, თანახმად ოუენის მოძღვრებისა, აღორძინდა ბრაიტონში 1828 წ. ამ საზოგადოებამ დაიწყო ბეჭდვა ჟურნალი „კოოპერატორი“-სა, რომლის ფურცლებზე ახალი დაწესებულების დანიშნულება ასე განისაზღვრებოდა:

„კაპიტალი—აი რა არის აუცილებელი საჭირო ჩვენთვის... მის შესადგენათ ჩვენ უნდა შევერთოდეთ ერთ საზოგადოებაში; ჩვენ უნდა ყოველ-კვირეული გადასახადებით შევადგინოთ ფონდი; როგორც რომ მოვაგროვებთ საკმაო თანხას, მაშინვე ვიყიდით საქონელს და გავხსნით მაღაზიას, საიდანაც უნდა ივაჭრონ წევრებმა. მოგებიდან უნდა შესდგეს საზოგადო კაპიტალი, საწარმოო თანხის გასადიდებლათ. ამნაირათ ჩვენს განკარგულებაში ორი წყაროა კაპიტალის შესადგენათ: ყოველკვირეული გადასახადი და მოგება... შემდეგ საზოგადოება შესძლებს საზოგადო სამუშაოს მოწყობას, რომლის შემოსავალი შეადგენს საზოგადო კუთვნილებას; კაპიტალის გადიდებისა და გვარათ საზოგადოება შეიძენს მიწას, დაამუშავებს და გამო-

იყენებს მას თავის საჭიროებისთვის, გაათართო-
ვებს წარმოებას და, ამნაირათ, საწოგადოება
დააკმაყოფილებს წევრთა ყოველსავე მოთხოვნი-
ლებას. საზოგადოებას მაშინ ეწოდება თემი...
თუ თემის წევრები მოისურვებენ ცხოვრებას
ქალაქში, აღნიშნული სარგებლობის მიღება მათ
მაშინაც შეეძლებათ.“

ბრაიტონის საზოგადოებას მოყვა მრავალი
სხვა საზოგადოების დაარსება, რომლებშიც მარ-
თლა იშოვეს სამუშაო წევრებმა. წევრების აღ-
ფრთოვანებას საზღვარი არა ქონდა, რაც ნათ-
ლად ჩანს საზოგადოების წესდების წინასიტყვა-
ობიდან, სადაც ირკვევა წევრთა ურთიერთშო-
რის დამოკიდებულება: სარწმუნოების წინააღ-
მდეგ გალაშქრის აკრძალვა, დაუდევარი წევ-
რების გამორიცხვა და სხვა. ვარინგტონის საზო-
გადოების წესდების ყდაზე ძლიერ საგულისმო
სიტყვა იყო აღბეჭდილი: „გამხნევდით!“...
წევრებიც ამ სიტყვით ეგებებოდნენ ერთმანეთს.

მეორე მხრივ უკვე არ შეიძლებოდა წევრთა
გამორიცხვა ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდევ-
რობისთვის და საზოგადოებისაგან მოითხოვდნენ
ყოველივე პარტიის გარეშე დგომას, — ასეთმა
ნეიტრალობამ, როგორც შემდეგ დავინახავთ,
საზოგადოებებს შესძინა ბევრი დაუძინებელი
მტერი.

საზოგადოებებში მტკიცე კავშირის განსამტი-
ცებლათ საჭირო იყო დიდი ძალა და ენერჯია,
საერთო აღფრთოვანების გამოწვევა. ოუენმა თავი-
სი დაულალავი ენერჯიით კიდევ გამოიწვია ასე-
თი აღფრთოვანება. 1832 წ. ინგლისში უკვე
არსებობდა 500-მდე კოოპერატიული საზოგადო-

ება. ეს იყო თითქო აყვავების ხანა. მაგრამ სინამდვილესთან შეჯახებამ ერთობ არია ყველაფერი, გაჰქრა იმედები, რაკი გამოიჩინა, რომ წევრებისგან ჯერ დიდი თავგანწირვა და მსხვერპლია საჭირო, ნაყოფი კი მომავლის საქმეა, იგიც არა საიმედო. ზე შესაძლო იყო განა ნახევრად მშვიერ-მწყურვალეებისაგან მსხვერპლის მოთხოვა მომავლისთვის? მაშინ ხომ სულ ადვილი იქნებოდა შრომის ორგანიზაციის გარდაქმნა და კულტურაც უფრო მალე განვითარდებოდა! კოოპერაციის ერთი მკვლევარი კიდევაც სამართლიანათ შენიშნავს: „უნდა გვაკვირვებდეს ოუენის საზოგადოებათა დაარსება, და არა მათი ხანმოკლეობაო.“

1833—1834 წლებში ერთობ დამარცხდა საკოოპერაციო მოძრაობა ინგლისში, — ეს იყო განადგურების ხანა. შეიძინა სული მხოლოდ რამდენიმე საზოგადოებამ (უმთავრესად წისქვილებმა და ფურნეებმა), რომელნიც დღესაც არსებობენ და ატარებენ კოოპერაციის არისტოკრატიის სახელს. რ. ოუენს არ აცრუებია გული თავის პლანებზე, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ მათი განხორციელება შეუძლებელი იყო ინგლისში — გადასახლდა ამერიკაში, სადაც დააარსა სამეურნეო ახალშენი და მტკიცედ იცავდა თავის პრინციპებს. ამ ახალშენის ისტორია მეტად საინტერესოა და საგულისხმო, მაგრამ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს. ახალშენიც დაიშალა ბოლოს, რაის შემდეგ ოუენი, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, დაბრუნდა ისევ ინგლისში.

რა თქმა უნდა, საკოოპერაციო მოძრაობის ხელმძღვანელები აგრე ადვილათ ვერ გამოეთხოვებოდნენ თავის იდეალებს და თითქმის ყველა

მათგანი მიემხრო ინგლისში 1834 წელს დაწყებულს „ჩარტისტთა“ მოძრაობას. სხვათრივ დატრიალდა საზოგადოებრივი აზრი და ეგონათ, რომ ახლა ოუენის პლანის განხორციელება უფრო ადვილი შეიქნებოდა სახელმწიფოს გადატრიალებით, რომელსაც უნდა მიეცა ხალხისთვის პარლამენტი: მხოლოდ წმინდა ხალხური პარლამენტისაგან მოელოდენ ყველასათვის საკეთილდღეო კანონებს. შეადგინეს „სახალხო მოთხოვნილებათა ხარტია“ (Charta — აქედან წარმოსდგება სახელწოდება ჩარტისტებისა) და დაიწყეს აგიტაცია. პირველად მოძრაობა, ინგლისის ჩვეულებათა მიხედვით, ლეგალური იყო — ახდენდენ მიტინგებს, კენქს უყრიდენ რეზოლიუციებს, აწერდენ ხელს პეტიციებზე, — მაგრამ შემდეგში უმთავრესი ხელმძღვანელობა გადავიდა ირლანდიის ფენიის ოკონორის ხელში: მოძრაობას მიეცა საიდუმლო შეთქმულების ხასიათი, გამეფდა ტერორი და მოელო მას ბოლო შეიარაღებული ძალით 1848 წელს.

ამნაირათ, მეორმოცე წლების დასაწყისში კოოპერატიული დაწესებულებები თითქმის არ არსებობდა ინგლისში, დარჩა მათგან მხოლოდ პრაკტიკული გამოცდილებანი და ფართე მოძღვრება ოუენისა. შეყვარებულ იდეას ინგლისელები ადვილათ არ ეთხოვებიან, პირველ ხანებში ის ძალიანაც რო დამარცხდეს მაინც. მხოლოდ ამ თვისებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ინგლისში დაიწყო საკოოპერაციო მოძრაობის მესამე ხანა, როცა კოოპერაციამ გაიმარჯვა, მოედო მთელ ქვეყანას და ახლა მთლად მის დაპყრობასაც აპირებს.

1844 წ. ქ. როჩდელში, ლანკაშირში, იჩინა თავი სასტიკმა სამრევწველო კრიზისმა. სართავ მანქანებში შემოიღეს ახლად გამოგონილი საფეიქრო დაზგები, რასაც მოჰყვა მუშათა დიდი ნაწილის დათხოვა. ამან გამოიწვია საერთო გაფიცვა, რომლის მიზანი იყო მანქანების განადგურება. შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა, გამწვავდა პირობები, მუშებს სიმშლი ეწვია. სწორედ ამ დროს ოუენის მიმდევრების ვილიამ კუპერისა და კარლ გოვარდტის მეთაურობით 28 მუშამ გადაწყვიტა მომხმარებელი საზოგადოების დაარსება. მდგომარეობა უკიდურესი იყო. გაფიცვა თანდათან მწვავდებოდა. მოქალაქენი გაიყვენ ორ პარტიათ. ორივე პარტია მტრულად უყურებდა ახალი საზოგადოების დამაარსებლებს, ან როგორც მათ შემდეგში ეწოდა „პატიოსან პიონერებს.“ ვაჭრებიც, რა თქმა უნდა, წინაღუდგენ კოოპერატიული დუქნის დაარსებას და უხურავდენ კრედიტს გაფიცულებს. ჩარტისტთა კომიტეტმა, რომელშიაც შედიოდნენ კუპერი და გოვარდტი, ნაადრევათ გამოაცხადა კოოპერატიული საზოგადოების დაარსება, რადგან ის გაიტაცებს მუშებს და ხელს შეუშლის გაფიცვასა და ხარტიისათვის ბრძოლასო, და რაკი „პიონერები“ არ დაემორჩილენ ამ დადგენილებას, გამორიცხა ისინი კლუბიდან.

მიუხედავთ ამისა, 28 დამაარსებელმა დიდის ვაი-ვაგლახით მოაგროვეს თავიანთ შორის 28 გირვანქა სტერლინგი (დაახლოვებით 28 თუმანი) და 1844 წლის დეკემბერს გახსნეს საამხანაგო დუქანი, რომლითაც იწყება ბრწყინვალე ხანა მომხმარებელი კოოპერაციისა.

ოუენის მიმდევარი როჩდელის პიონერების პროგრამა *) დასაწყისში ძლიერ უახლოვდებოდა ბრაიტონის საზოგადოების პროგრამას.

მაგრამ საზოგადოების წესრიგის ქვაკუთხედს შეადგენდა წინეთაც ზოგიერთ საზოგადოებებში შემთხვევით ნაცადი საშუალება—საქონლის გაყიდვა საბაზრო ფასებში და წელიწადში სამჯერ მოგების განაწილება ნასყიდობის მიხედვით.

ეს—პირველის შეხედვით უბრალო, მაგრამ მეტათ გონივრული საშუალება—ძლიერ სასარგებლო გამოდგა საქმისთვის, რასაც ადასტურებენ კოოპერაციის მერმენდელ მკვლევართა ნაწერები. პრაქტიკაში ოუენის მოძღვრება იწვევდა გაუგებრობას. ერთის მხრით ოუენი (განსაკუთრებით კი მისი მიმდევარი ტომპსონი) ცდილობდა კოოპერატივიდან სიტყვა მოგების განდევნას—შემოიღეს ამიტომ განსაკუთრებული საზომი შრომის შესაფასებლათ: საქონლის დასამზადებლათ დახარჯული სამუშაო დრო. მეორე მხრივ ყოველი საზოგადოება მოელოდა მო-

*) რადგან მას საკოოპერაციო მოძრაობაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ამიტომ მოგვეყავს იგი სავსებით:

თავის წევრთა ნივთიერ, საოჯახო და საზოგადო პირობების გასაუჯმობესებლათ საზოგადოება აგროვებს თანხას ერთ გირვანქა სტერლინგათ (თუმანი დაახლოვებით) ღირებული ჰაებით, რათა მისი საშუალებით განახორციელოს შემდეგი პროექტები:

1. დაიწყოს ვაჭრობა სანოვავით, ტანსაცმლითა და სხვ.
2. ააშენოს ან იყიდოს რამდენიმე სახლი იმ წევრთათვის, რომელნიც ერთმანეთის დახმარებით მოისურვებენ საოჯახო-საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესებას.
3. მოაწყოს დამზადება ისეთი საქონლებისა, რომლებსაც კარგი გასავალი აქვს, რომ ამით სამუშაო მიეცეს

გებას თავის აპერაციებიდან და ყველაფერს ამ მოგებაზე ამყარებდენ. პირველად როჩდელის პიონერებიც, განსაკუთრებით მათი ხელმძღვანელი გოვარდტი, გამოდიოდნენ იმ პრინციპიდან, რომ მოგება არ უნდა დარჩენოდა საზოგადოებას, და ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ უბრუნებდნენ წმინდა მოგებას იმათ, ვისგანაც ის მიუღიათ. რადგან „პატიოსანი პიონერები“ გულმოდგინეთ ეკიდებოდნენ საქმეს და თან არაფერს ღებულობდნენ საზოგადოებიდან, ამიტომ დივიდენდი საგრძნობი შეიქნა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მუშებისათვის. და აინგლისში კიდევ მოიკიდა ფეხი კოოპერაციამ, რომელიც იმედს უღვიძებდა ხალხს უკეთეს მომავალზე და მასთან მაშინათვე აძლევდა წევრებს თვალსაჩინო სარგებლობას. შესაძლო შეიქნა ისეთი კოოპერაციის არსებობა, რომელიც არაფერს მოითხოვდა წევრებისგან, წევრებს კი აძლევდა სარგებლობას.

პირველი ბრწყინვალე გამარჯვებისთანავე,--სა-

უმუშევარ, ანუ ხელფასის დაკლებით დაზარალებულ წევრებს.

4. იყიდოს და იჯარით აიღოს მიწა თავის წევრთა საჭიროებისათვის. მიწის დამუშავების უფლება უნდა მიეცეს იმ წევრებს, რომელთაც ან სულ არა აქვთ სამუშაო, ან არ ყოფნისთ თავიანთი შემოსავალი.

5. საზოგადოება ღებულობს ზომებს წარმოებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის მოსაწყობათ, სწავლა-განათლების გასავრცელებლათ, თვითმართველობის განსავითარებლათ, —ერთი სიტყვით, ყველა იმისთვის, რაც ხელს შეუწყობს წევრთა მდგომარეობის გარდაქმნა-გაუმჯობესებასა და ახალ საზოგადოებათა დაარსებას.

პოლიტიკისა და სარწმუნოების შესახებ მიღებული იყო შემდეგი წესები:

ზოგადოების დაარსებიდან ორი წლის შემდეგ-- „პა-
ტიოსან პიონერებმა“ გადადგეს ფრიად საყურა-
დლებო ნაბიჯი კოოპერაციის განვითარების სა-
ქმეში. საქმის საწარმოებლათ მაინც შეიქნა სა-
ჭირო კაპიტალი და მასთან გაცილებით მეტი,
ვინემ საპაიო გადასახადი. ასეთი კაპიტალის შესა-
დგენათ სავალდებულოთ გახადეს თითოეული წევ-
რისაგან საზოგადოებაში 5 გირვანქა სტერ-
ლინგით მონაწილეობის მიღება (50 მან.). დამა-
ტებითი 4 გირვანქა სტერლინგი უნდა შეევესოთ
გადასახადებით კი არა, არამედ იმ მოგებით, რო-
მელსაც ისინი მოელოდენ საზოგადოებიდან. შემ-
დეგ შემოიღეს პაიებზე პროცენტების მიმატება,
თუმცა ეს ეწინაღმდეგებოდა ოუენის მოძღვრე-
ბას. ეს გამოიწვია ალბათ იმ გარემოებამ, რომ
საკოოპერაციო კანონის უქონლობის გამო რო-
ჩდელის საზოგადოება შეტანილი იყო რეგის-
ტრში, როგორც 1836 წლის კანონით აღიარე-
ბული დამხმარე კასა, რომელსაც უფლება ქონ-
და მობარებულ ფულებზე პროცენტები ეძლია.

1. არ არის საჭირო იმის გაგება, თუ რა პოლიტი-
კისა და სარწმუნოების მიმდევარია საზოგადოებაში შე-
მომსვლელი.

2. წევრთა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიმარ-
თულებათა სხვადასხვაობის გამო, უნდა ვერიდოთ ყო-
ველთვის ყველაფერს, რაც მიმართული იქნება ამა თუ
იმ მიმართულების ანუ პოლიტიკური პარტიებისა და
სარწმუნოებრივი სექტების სასარგებლოთ.

1860 წელს დაიბეჭდა ამ პროგრამის განმარტება.

თანამედროვე საკოოპერაციო მოძრაობა არ ღებუ-
ლობს არავითარ მონაწილეობას პოლიტიკისა და სარ-
წმუნოების საკითხებში. მისი მიზანია მხოლოდ და მხო-
ლოდ დაარსება საერთო კავშირისა, რომელიც ემყარება

ამ რეგისტრაციამ როჩდელის საზოგადოებას მიანიჭა ზოგიერთი უპირატესობა—პროცენტური ქაღალდების შექმნის უფლება, საღებრო გადასახადებისაგან განთავისუფლება. მართალია, ამავე დროს მას ეძლეოდა უფლება მხოლოდ თავის წევრებთან დამოკიდებულებაზე, მაგრამ ამ მოთხოვნილებას არ აქცევდენ მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას. პაიებზე პირველად აძლევდენ $3\frac{1}{2}\%$, შემდეგ კი ის გაადიდეს 5% —მდი. 1852 წლიდან საზოგადოებამ კანონითაც მიიღო უფლება არა წევრებისთვის საქონლის მიყიდვაზე (Industrial and Provident act).

ამნაირათ, როჩდელის საზოგადოებამ გამოიყენა წარსულის გამოცდილება, შეუთანხმა თავისი მოქმედება არსებულ პირობებს და თავისებურათ განახორციელა ოუენის პლანები. საზოგადოებამ ხელი აიღო მოგებიდან და მასთან ამ ჟამათ მისი საწარმოო თანხა 2,000,000 მანეთს აღემატება. გუშინდელი უტოპია დღევანდელ სინამდვი-

თითოული წევრის პირად საჭიროებაზე და მისთვის სარგებლობის მოტანაზე შეერთებულის ენერჯით, საერთო საშვალეებითა და ძალ-ღონით.

პირველ წლებშივე მიღებული სამუშაო გეგმა ასეთი იყო:

1. წევრებმა თითონ უნდა მოაგროვონ თანხა, რომელსაც უნდა მიეცეს განსაზღვრული პროცენტი.
2. საზოგადო დუქნიდან უნდა იყიდებოდეს საუკეთესო ხარისხის საქონელი.
3. ზომა და წონა უნდა იყოს სწორ-უტყუარი.
4. მოგება ნაწილდება ნასყიდობის მიხედვით.
6. მართვა-გამგეობაში უნდა იქნას დაცული შემდეგი პრინციპი: „ერთი წევრი—ერთი ხმა; სქესობრივი თანასწორობა.“

ლედ იქცა, იმ სინამდვილედ, რომელიც აძლევს წევრებს დიდ სარგებლობას და ანიჭებს მათ მრავალ უპირატესობას. მან მიიღო საფასურით დემოკრატიული ხასიათი, ვინაიდან იქ წევრები ეწე-რებიან ნება-ყოფლობით, თანასწორნი არიან მართვა - გამგეობაში და თითოეული მათგანი ღე-ბულობს სარგებლობას იმის და მიხედვით, თუ ვის რამდენი საქონელი უყიდია კოოპერატივიდან: როჩდელის საზოგადოების დამაარსებლები სა-მართლიანათ ატარებენ „პატიოსან პიონერების“ სახელწოდებას!

ამ ჟამათ ინგლისში არსებობს 1600 მეტი კოოპერატიული საზოგადოება: მათი მოგება აღემატება 90,000,000 მანეთს. უმეტესი ნაწი-ლი ამ მოგებისა არ ეძლევა წევრებს ხელში, რჩე-ბა წარმოებაში; საზოგადოებები იზრდებიან და წევრები დიდ სარგებლობას ღებულობენ საერ-თო საქმეში მონაწილეობის მიღებით. 1863 წ. მანჩესტერში დაარსდა საზოგადოებათა კავშირი შემდეგის სახელწოდებით: „**პარტიობით მყი-**

7. მართვა-გამგეობა ეკუთნის არჩეულ პირებსა და კომიტეტს.

8. სავალდებულოა განსაზღვრული პროცენტის გადა-დება სწავლა-განათლებისთვის.

9. წევრები ვალდებულია ხშირ-ხშირათ გადასინჯონ შემოსავალ-გასავალის ანგარიშები.

1876 წელს ინგლისში გამოიკა კანონი კოოპერაცია-ზე, რაისგამო საზოგადოებათა უმრავლესობასთან ერთად როჩდელის საზოგადოებამაც შესცვალა თავისი წესდება. ახალ წესდებაში როჩდელის საზოგადოების მიზანი მო-კლეთ აღნუსხული იყო ამნაირათ: „ამხანაგობის მიზანია: გამართოს ვაჭრობა პარტიობით და წვრილ-წვრილათ; დაამზადოს ყველაფერი, რითაც ვაჭრობს ამხანაგობა

დველი კოოპერატიული საზოგადოება“ (ამის ინიციატორი იყო როჩდელის საზოგადოების თავმჯდომარე აბრამ გრენფუდი). მალე ამის შემდეგ შედგა ასეთივე კავშირი შოტლანდიაშიც. ორივე კავშირმა, სხვათაშორის, დააარსა კოოპერატიული ბანკი, რომელიც ატრიალებს წლიურათ 250,000,000 მანეთზე მეტს, და მრავალი სხვადასხვანაირი ქარხანა, დაარსებული, მართალია, საერთო კაპიტალისტურ საფუძვლებზე.

საკოოპერაციო მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობაზე ინგლისში ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი. ნათქვამიც უკვე საკმარისია იმის გასაგებათ, თუ რა გზით აღორძინდა დავითარდება იქ მომხმარებელი კოოპერაცია. სხვა სახელმწიფოებშიც ამ გზით ვითარდება მრავალი ათასი მომხმარებელი საზოგადოება. აშკარაა, კოოპერაცია აცლის ნიადაგს ძველს ორგანიზატორს, კაპიტალს, თვითონ აწესრიგებს ღირებულებათა განაწილების საქმეს: ადამიანთა შორის თავისუფალი შეთანხმება-შეკავშირების ნიადაგზე, — ხოლო ძველს ბატონ-ორგანიზატორს, კაპიტალს, ქირაობს თავის საჭიროებისთვის და აძლევს მას კანონიერ პროცენტს.

და რასაც იგი საჭიროებს; დაიწყოს სახლების აშენება და აწარმოვოს ცეცხლისაგან დაზღვევის საქმე; ამხანაგობას აქვს უფლება იყიდოს, გაყიდოს და იჯარით აიღოს მიწა; ააშენოს, დაანჯიროს და შეაკეთოს სახლები, — ერთი სიტყვით, ხელი მოკიდოს ყველაფერს, რასაც აქვს დამოკიდებულება საამშენებლო საქმესთან.“ დანარჩენი მუხლები პირვანდელი პროგრამისა წესდებაში არ შეუტანიათ, მიმატებულია მხოლოდ როგორც სახელმძღვანელო მასალები.

ინგლისის მაგალითების შემდეგ კოოპერაციის იდეა მოედო მთელს ქვეყანას, ყველგან ცდილობენ საიმისო ასპარეზის გაფართოებას. საფრანგეთში ფურიე (1772—1837) ქადაგებდა მცხოვრებთა დაყოფას განსაკუთრებულ „ფალანგებათ:“ თითო მათგანში უნდა შესულიყო დაახლოებით 2000 წევრი, რომელთაც უნდა ემზადებიათ ყველაფერი, რაც მათთვის იყო საჭირო და ამისათვის დაეარსებიათ ცენტრში მშვენიერი შენობა— „ფალანსტერი.“ იგი ცდილობდა ოუენთან კავშირის დაკავებას, მაგრამ მალე აეშალა მას და გამოუშვა მის საწინააღმდეგოთ ბროშურა შემდეგის სათაურით: „ხრიკობა და შარლატნობა ოუენისა და სენ-სიმონის მიმდევრებისა“ (1811 წ.). ფურიესა და მისი მიმდევრების პლანებს პირველად დიდი გასავალი ქონდა, მაგრამ მალე მათ ყოველივე მნიშვნელობა დაეკარგა.

კოოპერაციის მამათმთავარი ოუენი და მისი მიმდევარნი კოოპერაციის უმთავრეს დანიშნულებას ხედავდენ შრომის ისეთ ორგანიზაციის დამყარებაში, როცა მწარმოებლები იმავე დროს უნდა ყოფილიყვნენ მხმარებლებიც და მათს განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო წარმოების ყოველივე ნაყოფი. ამის განსახორციელებელ საშუალებათ იყო აღიარებული მომხმარებელი საზოგადოებები, რომელთაც უნდა ჩამოეშორებიათ ზედმეტი შუამავლები და საწარმოვო თანხის მოგროვებით ხელი შეეწყოთ საწარმოვო კოოპერატივებისათვის. ნამდვილათ კი კოოპერაციის განვითარებამ დაგვანახვა, რომ მომხმარებელ საზოგადოებებმა შექმნეს დამოუკიდებელი მოძრაობა და შესძლეს კოოპერაციის სპეციალური დანი-

შნულების განხორციელება წარმოებისა და გაც-
ვლა-გამოცვლის საქმეში. საწარმოვო კოოპერა-
ტივებმა დაიკავეს მეორე ადგილი და ისინი უფრო
ხეირობენ, როცა არსდებიან როგორც მომხმარე-
ბელი საზოგადოების განყოფილებანი. ამნაირათ,
და არა ოუენის მიერ ნაჩვენები გზით, კოოპერატი-
ული წარმოებაც თანდათან იკიდებს ნიადაგს. თან-
დათანობა--მარტივიდან რთულზე გადასვლა--აქაც
ძალაში რჩება, საზოგადო ღუქნის დაარსება
უფრო ადვილია, ვინემ დაწყება კოოპერატიული
წარმოებისა, რადგან ამ უკანასკნელისათვის სა-
ჭიროა: დიდი თანხა, გამოცდილება, ნაწარმოე-
ბის გასავალი, — ბაზარი (რასაც წარმოადგენს
მომხმარებელი საზოგადოება — ძირითადი ფორმა
კოოპერატიული აღმაშენლობისა).

თვით საწარმოვო განყოფილებების დაარსება-
შიც საჭიროა აგრეთვე თანდათანობა. აქაც არის
მარტივი და რთული საქმე. ქალაქებში საქმე
იწყება საზოგადოების სახელოსნო საწარმოვო
განყოფილებით, ხოლო სოფლებში საწარმოვო —
სამეურნეო განყოფილების დაარსებით. ამ დარ-
გებში კოოპერაციამ უკვე გაიდგა ფესვები,
ხოლო საფაბრიკო საქმეში, სადაც ჯერ კიდევ
დიდია კაპიტალის როლი, კოოპერაცია იკი-
დებს ნიადაგს ნელ-ნელა, თანდათანობით.

საწარმოვო კოოპერაციას ან კოოპერაციის
ამ ახალ ფორმას ჩვენ შევვხებით ახლა მოკლეთ,
შემდეგ კი გვექნება შემთხვევა უფრო დაწ-
ვრილებით ვიბაასოთ მის შესახებ.

ყოველი წარმოება შესაძლოა წარმოვიდგი-
ნოთ, როგორც ერთეული რამ, ანუ მთელი რიგი
განსაკუთრებული აპერაციებისა. ძნელია მთელი

წარმოების მოწყობა რაიმე ახალ საფუძვლებზე, ადვილია წარმოების რაიმე ნაწილის ანუ აპერაციის შესრულება. კულტურის თანამედროვე პირობებში ყოველი დამოუკიდებელი წარმოებისათვის საჭიროა კრედიტი. ღარიბებისთვის არ არსებობს კრედიტი გარეშე კოოპერაციისა. კოოპერატიულათ შეკავშირება საშვალეებს აძლევს ღარიბებს ისესხონ ფული: შეიძინონ მაშინები და საწარმოო მასალები, მოაწყონ დამზადებული საქონლის გასაღება, დააარსონ საცდელი მინდვრები, ააშენონ სახლები და სხვა. აი აქიდან იწყება კოოპერატიული წარმოება.

კოოპერატიული წარმოების სამშობლოა გერმანია. კოოპერაციის ამ ახალი ფორმის შემქნელია იურისტი შულცე (1808—1883) საქსონიის ქალაქ დელიჩიდან.

პროფესიით შულცე-დელიჩი იყო პირველი ინსტანციის მოსამართლე ანუ, ჩვენებურათ რომა ვთქვათ, მომრიგებელი მსაჯული. ის მსახურობდა სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი თავის სამშობლო ქალაქ დელიჩთან, სადაც მამა მისი იყო ქალაქის თავათ. 1846 წელს მოუსაველობის გამო შულცემ დაარსა თავის ქალაქში „დამხმარე კომიტეტი,“ რომელმაც იჯარით აიღო წისქვილი და ფურნე და გააიათა პური, რამაც ადგილობრივ და ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ დიდათ გაუადვილა ცხოვრება. აბობოქრებულ 1848 წ. იგი არჩეულ იქნა ნაციონალური ყრილობის წევრათ, ხოლო მისი დათხოვნის შემდეგ — ლანდტაგის მეორე პალატის დეპუტატათ. ამ პალატის კომისიაში იგი ღრმად მიეცა მუშათა

საკითხის შესწავლას, რაც საძირკვლად დაედო მის მოღვაწეობას მომავალში.

შულცე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშრომელი ხალხი თვითვე უნდა იუმჯობესებდეს თავის მდგომარეობას, და ეს შესაძლოა მხოლოდ თვითმოქმედებისა და თვითშეკავშირების საშუალებით, ყოველივე გარეშე და მათ შორის სახელმწიფო დახმარება ზღუდავს დამოუკიდებლობას, აბრკოლებს თვითგანვითარებას და ჰკლავს მასაში ყოველსავე ენერჯიას. აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ ფაბრიკული წარმოება, წინააღმდეგ ინგლისისა, გერმანიაში ძლიერ სუსტად იყო დაყენებული და თითქმის მთელი წარმოება ხელოსნების ხელში იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელოსნო გილდიების მოსპობის შემდეგ ხელოსნები დარჩენ შეუკავშირებლათ. უპირველეს ყოვლისა შულცეს ამ ხელოსნების შეკავშირება ქონდა სახეში. შეკავშირების ფორმა უნდა ყოფილიყო ინგლისური, ე. ი. კოოპერატიული.

1849 წ. შულცემ დააარსა თავის ქალაქში პირველი სახელოსნო მასალების მყიდველი ამხანაგობა, ხოლო 1850 წ. პირველი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, აგებული კოოპერატიულ საფუძვლებზე, და არა ისეთი, რანაირიც ბერლინში წინეთაც არსებობდა, უფრო საქველმოქმედო დაწესებულების სახით.

რამდენათ პრაქტიკული შეიქნა პრინციპი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა, ჩანს შემდეგი ცნობებიდან: პირველი ამხანაგობა დაარსდა 173 ტალერით, ხოლო 33 წლის შემდეგ—შულცეს სიკვდილის წინეთ—გერმანიაში არსებობდა 906 ამხანაგობა, შულცე—დელიჩისვე თაოსნობით

კოოპერატიულ კავშირში შეერთებული, 4 მილ.
600 ათასი წევრით, 118,000,000 მარკის
ძირითადი თანხითა და 1,447,000,000 მარკის
საერთო აღებ—მიცემით.

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დანა-
შნულებაა: შეაკავშიროს ყოველივე ღირებულე-
ბის შემქნელი მშრომელი ელემენტები და შექმნას
მათგან საკრედიტო ძალა.

თითოეულ ამხანაგს შექონდა ამხანაგობაში მცო-
რედი პაი და კისრულობდა პასუხისგებლობას
ამხანაგობის ვალდებულებებზე—განუსაზღვრელს
ანუ განსაზღვრულს პაის მიხედვით. ასეთმა პასუ-
ხისგებლობამ ამხანაგობას მოუპოვა ნდობა. მობა-
რებული ფულების ჯამი დღითი-დღე მატულობ-
და: თავისუფალი ფულები აქეთკენ დაეწაფენ.
მობარებულ ფულზე და სესხზე აძლევდენ კანო-
ნიერ პროცენტს და მთელი მოგება მიდიოდა
მშრომელ წევრთა სასარგებლოთ, კაპიტალის
გადიდება ან შემცირება ადვილი შეიქნა პრო-
ცენტის გადიდებითა და შემცირებით, შემდეგ კი
კოოპერატიული კავშირისა და ბანკის დაარსე-
ბით (პირველათ შერეული ტიპისა და გულწრფე-
ლი კოოპერატორების—„პარიზიუს, ზერგელი
და ამხ“-ის ფირმით). უკანასკნელს მიქონდა
ამხანაგობებიდან ზედმეტი ფული და აძლევდა
მას იმ ამხანაგობებს, რომლებსაც ფული ესა-
ჭირებოდათ.

შულცეს დიდი სამსახური მიუძღვის საკოო-
პერაციო მოძრაობისთვის არა მარტო როგორც
მისი ახალი ფორმის ორგანიზატორი, არა-
მედ მის შესახებ თეორიული შრომითაც. 1858
წ. გამოვიდა შულცეს შრომა: „საკოოპერა-

ციო წიგნი გერმანელ ხელოსანთა და მუშების-
 თვის“. ამ წიგნში შულცე-დელიჩი მკაფიოთ ახასია-
 თებს კოოპერაციის დანიშნულებას და განმარტე-
 ბას იძლევა მომხმ. საზოგადოებებზე (როჩდელის
 ტიპის), შემნახველ-გამსესხებელ ამხმნაგობებზე,
 საწყობ კოოპერატივებზე და მწარმოებელთა ამხა-
 ნაგობაზე. უკანასკნელი, მისი აზრით, უნდა შეა-
 დგენდეს კოოპერაციის უმთავრეს მიზანს, მის
 უზენაეს საფეხურს. მალე მეორე მისი წიგნიც
 გამოვიდა: „შემნახველ—გამსესხებელი ამხანა-
 გობა, როგორც სახალხო ბანკი“ ზ მრავალი სხვა.
 მანვე დააარსა ჟურნალი „მომავალი საზოგადო-
 ება,“ რომელიც ახლაც არსებობს, მხოლოდ
 მეორე სახელით—„საკოოპერაციო ფურცლე-
 ბი.“

შულცე-დელიჩის მიერ აღიარებული კოოპე-
 რატიულ საზოგადოებათა ძირითადი პრინციპე-
 ბი გამოიხატება შემდეგში: თვითდახმარება,
 თვითმოქმედება და დამოუკიდებელი პასუხისგე-
 ბა თავის მოქმედებისათვის. მისი მეცადინეობით
 გამოიცა საკოოპერაციო კანონი, რომელმაც
 შემდეგში დიდათ შეუწყო ხელი კოოპერაციის
 განვითარებას.

1860 წელს შულცე-დელიჩმა დააარსა „სა-
 ერთო კავშირი სრულიად გერმანიის კოოპერა-
 ტივებისა,“ რომლის ხელმძღვანელი იყო ის
 მთელ თავის სიცოცხლეში. ამას წინად გერმა-
 ნიაში იღვესასწაულეს მისი დაბადებიდან 100
 წლის იუბილე და კოოპერატორებმა აუგეს მას
 ორი ძეგლი—ბერლინსა და დელიჩში.

გერმანიამ კოოპერაციას მეორე გამოჩენილი
 კოოპერატორიც შესძინა.—ფრიდრიხ რაიფაიზე-

ნი (1818—1888). დიდია მისი სამსახური განსაკუთრებით სასოფლო კოოპერატივების განვითარებაში. რაიფაიზენი იყო სოფლის ბურგომისტრი ანუ, ჩვენებურათ, მამასახლისი. კოოპერაციის იდეა მან სრულებით დამოუკიდებლათ შეითვისა. მისი მიზანი იყო დახმარება გაეწია მოყვასისათვის: მოყვასისა, ღარიბის და უმწეო ადამიანის სიყვარული, — აი რა ახასიათებს რაიფაიზენის მოღვაწეობას. ამიტომ მის მიერ დაარსებული ამხანაგობები ნახევრად საქველმოქმედო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. 1869 წელს, ხანგრძლივი მუშაობისა და გამოცდილების შემდეგ, მან გადააკეთა გედდესდორფის საზოგადოება საკრედიტო ამხანაგობათ.

შულცე-დელიჩის ამხანაგობები მოითხოვდნენ წევრებისგან საპაიო გადასახადს, რაიფაიზენი სრულებით უარყოფდა პაის და სავსებით ემყარებოდა წევრთა საკრედიტო ძალაზე.

შრომის მოყვარე სოფლის მეურნე სესხის საუკეთესო უზრუნველმყოფელიაო, — სამართლიანად ამტკიცებდა რაიფაიზენი, საკრედიტო ამხანაგობას იგი უყურებდა არა როგორც საკრედიტო დაწესებულებას მხოლოდ, არამედ როგორც ისეთ კოოპერატივს, რომელშიც უნდა მოთავსებულიყო სოფლის მთელი ცხოვრება — მას უნდა დაეარსებია საზოგადო მაღაზიები, გამოეწერა სამეურნეო იარაღები, მოეწესრიგებია სოფლის ნაწარმოების გასაღება და სხვა, — ერთის სიტყვით — გაეუმჯობესებია როგორც ნივთიერი, ისე გონებრივი და კულტურული ცხოვრების პირობები. ამხანაგობის სამოქმედო რაიონი განისაზღვრებოდა. ერთი სოფლით, რადგან

საერთო პასუხისგებლობისგამო საჭირო იყო კარგათ ცოდნა წევრთა ხასიათისა და მათი ყოფა-ცხოვრებისა. პასუხისგება ამხანაგობისა განუსაზღვრელი იყო — ე. ი. ყოველი წევრი პასუხს აგებდა ამხანაგობის ვალდებულებაზე მთელი თავის ქონებით. წევრებისგან მოითხოვდნ სამაგალითო ყოფა-ქცევას, ქრისტიანობას და სახელმწიფოსადმი უქვეშევრდომილესობას. საწარმოო თანხა შესდგებოდა მობარებული ფულებისა და მთავრობისაგან მიღებული დახმარებისაგან. სამსახური ამხანაგობაში უნდა ყოფილიყო უსასყიდლო.

შულცე-დელიჩისა და რაიფაიზენის ამხანაგობებს შორის არსებობდა და, სამწუხაროთ, დღესაც არსებობს დიდი შუღლი. შულცე-დელიჩმა დიდათ შეუშალა ხელი პალატაში საკრ. კოოპერაციის დაკანონებას და იძულებული გახდა რაიფაიზენი შეეცვალა თავისი წესდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში უფრო განხორციელდა პირვანდელი ფორმა. რაიფაიზენის იდეალი იყო ყველა ამხანაგობების შეკავშირება, რაც განახორციელა კიდევ თავის სიცოცხლის უკანასკნელ წელში — დაარსა „გენერალური კავშირი“ ნეივიდში. ამ ჟამათ ამ კავშირში 4000 მეტი ამხანაგობა შედის.

ნეივიდის კავშირს მოყვა ორი ამნაირივე კავშირის დაარსება — დარმშტადსა და ვიურტემბერგში. ეს სამი კავშირი ამ ჟამათ წარმოადგენს 20,000 ამხანაგობას და მის განკარგულებაშია რამდენიმე ცენტრალური ბანკი, რომლებიც აწესრიგებენ ფულის მობარებისა და გაბარების საქმეს. რაიფაიზენი ვერ ეღიროს თავის ამხანაგობების აყვა-

ვებას და შესაძლოა მას არც კი ქონდა წარმოდგენა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ხალხისათვის იმას, რასაც იგი აკეთებდა.

ამნაირათ, გერმანიის კოლოპერაციის მოკლე ისტორიაც ამტკიცებს, რომ შრომაზე კაპიტალის დამორჩილება უტოპია როდის.

აი ციფრებიც. გერმანიაში ოფიციალურათ აღიარებულია 28,173 კოლოპერატივი, მათგან 18,542 განუსაზღვრელის, ხოლო დანარჩენი განსაზღვრული პასუხისგებითაა დაარსებული. მათი საკუთარი თანხა (საპაიო ფული) უდრის 573,000,000, ხოლო ნასესხი თანხა (გარდა საქონლის კრედიტისა)---3,806,000,000 მარკას.

ჩვენ გავეცანით მხოლოდ ინგლისისა და გერმანიის საკოლოპერაციო მოძრაობას. ამ სახელმწიფოებში განვლილი გზით ვითარდება კოლოპერაცია სხვა კულტურულ სახელმწიფოებშიც. დიდია ყველგან კოლოპერაციის მნიშვნელობა, ყველგან ამაყოფენ იმით.

საოცარი ნაბიჯით მიდის წინ კოლოპერაციის განვითარება დღითიდღე იზრდება კოლოპერაციის მნიშვნელობა, როგორც რადენობით, ისე ღირსებით, ე. ი. კოლოპერატიულ დაწესებულებათა რიცხვი თანდათან მატულობს, თანდათან ემატება წევრები არსებულ კოლოპერატივებს, ღრმავდება და სულ უფრო და უფრო ფართოვდება მათი სამოქმედო ასპარეზი... ყველგან და ყველასათვის საგრძნობი შეიქნა მათი მნიშვნელობა.

თუ შემდეგშიც ასე წავიდა წინ კოლოპერაციის განვითარება, მაშინ ხომ შორს არ იქნება ის დრო, როცა კაპიტალს სავსებით ჩამოშორ-

დება ორგანიზატორის როლი და, როგორც გა-
ცვლა-გამოცვლა საქონლისა, ისე მისი წარმო-
ება მოეწყობა კოოპერაციის საფუძვლებზე.



III. როგორ ასრულებს კოოპ-

პერაცია თავის დანიშნულებას.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ ჩვენს პირვანდელ განმარტებას სიტყვა „კოოპერაციაზე.“ ჩვენ მივე-
დით იმ დასკვნაზე, რომ კოოპერაცია არის ახალი სისტემა მშრომელთა დამოუკიდებელი და ნებაყოფლობითი შეკავშირებისა, რომლის მიზანია წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების ასპარეზზე თანამშრომლობის გაჩაღებით შრომის ნაყოფით თვით შრომის დაჯილდოება, და არა კაპიტალის, რომელსაც ეძლევა მხოლოდ კანონიერი პროცენტი.

მოკლეთ ამის გამოთქმა შეიძლება ასე: კოოპერაცია არის ორგანიზაცია შრომისა, მასზე კაპიტალის დამორჩილებით.

მაგრამ უმჯობესია შევჩერდეთ პირველ, უფრო ვრცელ განმარტებაზე, რადგან მისი საშუალებით ჩვენ უფრო კარგათ შევსძლებთ იმ პირობების გამორკვევას, რომლებშიც შესაძლოა საკოოპერაციო მოძრაობის განვითარება და კულტურის აღორძინება.

განვიხილოთ ეს პირობები.

1. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ, რომ კოოპერაციას შეუძლია თავის დანიშნულების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი ცალკე ფორმები წარმოადგენენ

საკოოპერაციო ორგანიზაციის მთლიანი სისტემის შემადგენელ ნაწილს, და არა შემთხვევითს დაწესებულებებს.

შრომის კოოპერატიულმა ფორმამ უნდა დაიკავოს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ადგილი. კაპიტალმა შექმნა საკუთარი სისტემა და სწორედ ამ სისტემამ არგუნა მას ასეთი გამარჯვება შრომის ორგანიზაციაში. ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში თავისუფალი კაპიტალის მოგროვება და აქედან მისი მოთავსება ისეთ ამხანაგობებში, სადაც იგი საჭიროა; ბირჟები, სააღებ-მიცემო პალატები, საკომისიონერო კანტორები, დიდი და პატარა სავაჭროები, კავშირი და ხანგრძლივი, ხშირათ შთამომავლობითი დამოკიდებულება ფირმებსა და მწარმოებლებს შორის და, ბოლოს, სინდიკატები და ტრესტები, ყრილობები, ხელმძღვანელი ორგანოები, სპეციალური პრესა, სავაჭრო-სამრეწველო ინტერესის დამცველი სახელმწიფო დაწესებულებანი და მრავალი სხვა, — აი რაშია გამოხატული ის სისტემა, რომელიც ასე თვალსაჩინოთ უწყობს ხელს კაპიტალისტურ წყობილების წინსვლასა და განვითარებას.

და რაკი კოოპერაცია კისრულობს თავის თავზე ასეთი ორგანიზატორის როლს, აშკარაა მანაც უნდა შექმნას საკუთარი სისტემა: დააარსოს კოოპერატიული ბანკები, მაღაზიები, საწარმოო, სამეურნეო და სხვა კოოპერატივები. გააცნოს ერთმანეთს მათი წარმომადგენლები და, რაც აუცილებელი საჭიროა, გააუმჯობესოს შრომის პირობები. შრომის პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვით კოოპერაცია არსები-

თად განირჩევა აქციონერულ ანუ კაპიტალისტურ საზოგადოებისაგან. უკანასკნელი დაინტერესებულია მხოლოდ მოგებით და მუშის მდგომარეობაზე ის არ იწუხებს თავს, კოოპერაცია კი, როგორც საზოგადო-ეკონომიური, სახალხო დაწესებულება, უმთავრეს ყურადღებას აქცევს შრომის თავისუფლებას, მის შეკავშირებას დამოუკიდებლობისა, ძმობა-ერთობისა და თანასწორობის საფუძვლებზე.

აშკარაა ამ მიზანს კოოპერატიული დაწესებულებანი მიაღწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ შორის დამყარდება მტკიცე კავშირი. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ კაპიტალისტური წყობილება უკვე ფეხმოკიდებულია, კოოპერატიული კი მხოლოდ იწყებს შეკავშირებას და ამიტომ მისთვის პირველზე უფრო საჭიროა ერთობა, შეერთებული ძალით მუშაობა, თანხმობა და ურთიერთშორის დახმარება.

საამისო საშუალება აღმოჩენილ იქნა კოოპერაციის წარმოშობისთანავე, — ეს არის კოოპერატიულ საზოგადოებათა კავშირი, ანუ საზოგადოებათა საზოგადოება, რომელიც შენდება იმავე საფუძვლებზე, რანაირზედაც ცალკე საზოგადოებები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საზოგადოების ანუ კოოპერატივის წევრებია კერძო პირები, ხოლო კავშირის — თვით კოოპერატივები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისის კოოპერატივებმა მალე დაიარსეს საკუთარი „საპარტიო ვაჭრობა.“ უკანასკნელზე ვიბაასებთ შემდეგში, ახლა კი შევჩერდეთ იმ დაწესებულებაზე, რომელიც დიდად უწყობს ხელს კოოპე-

რაციის განვითარებას არა მარტო ინგლისში, არამედ მთელს მსოფლიოში და ცოცხლად გვიხატავს კოოპერაციის სისტემის ანუ მთლიანობის მნიშვნელობას. მე სახეში მაქვს სახელგანთქმული „**კოოპერატიული კავშირი.**“

ასეთი კავშირის დაარსება ინგლისში განიზრახეს 1844 წ. და ამ მიზნით გაიმართა რამდენიმე ადგილას კოოპერატორთა თათბირი. 1866 წ. შესდგა პირველი კონგრესი, რომელმაც დაადგინა საერთო ორგანიზაციის შექმნა, მაგრამ დღევანდელის სახით „კოოპერატიული კავშირის“ წესდების შედგენა და რეგისტრაცია მოხდა მხოლოდ 1889 წელს.

ეს კავშირი ახლა უმთავრეს ხელმძღვანელობას უწევს კოოპერატიულ დაწესებულებებს.

„კავშირის მიზანია განამტკიცოს წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლაში პატიოსნებისა, სამართლიანობისა და ეკონომიური მეცნიერების ძირითადი დებულებანი.

ამის მისაღწევი საშუალებებია:

1. პატიოსანი და სამართლიანი მოქმედება;
2. კაპიტალისა, შრომის და მყიდველის ინტერესთა შეთანხმება, მათ შორის თანასწორად გაყოფა იმ კაპიტალისა, რომელსაც „მოგება“ ეწოდება;
3. შრომის დაცვა თანამედროვე კონკურენციის შედეგებისაგან.

ყოველი მოკავშირე კოოპერატივი ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით. თითოული მათგანი იხდის საწევრო გადასახადს 2 მ. 50 კ. და შეაქვს კავშირში ყოველ წლებით 8-8 კაპიკი თითო წევრის თავზე, თუ საზო-

გადოებაში 1000 მეტი წევრია, იგუ იხდის არა
ნაკლებ 8 თუმნისა წლიურად. ეს გადასახადი
კოოპერატივს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას,
ყოველ 500 წევრზე, კავშირის და აგრეთვე კონ-
გრესის კრებებზე დელეგატის გასაგზავნათ.

1914 წ. კავშირში ითვლებოდა 1206 საზო-
გადოება 1,936,000 წევრით; კავშირში არ შე-
დიოდა მხოლოდ 495 საზოგადოება, 179,527
წევრით.

მთელი ინგლისი და ირლანდია დაყოფილია
7 ოლქათ, თითოეული მათგანი ირჩევს საკუთარ
საბჭოს, ავტონომიურ ფეიტმართველობის სა-
ფუძვლებზე. საოლქო საბჭო იწვევს მო-
კავშირე კოოპერატივების წარმომადგენელთა
კრებას საერთო საკოოპერაციო საქმეთა განსა-
ხილველათ და გზავნის თავის წარმომადგენლებს
ცალკე კოოპერატივების საზოგადო კრებებზე
დასასწრებლათ.

ყველა საოლქო საბჭოები ირჩევენ ერთს ცენ-
ტრალურ საბჭოს, რომლის საერთო კრება ხდე-
ბა ორხელ წელიწადში, — ერთი არჩევნებისთანა-
ვე, სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ, და მეორე
— კონგრესის მოწვევის წინეთ, მისთვის მოხსე-
ნების შესადგენათ.

აღმასრულებელი ძალა და კონგრესის დადგე-
ნილებათა სისრულეში მოყვანა ეკისრება 16
კაციისაგან შემდგარს კავშირის საბჭოს, რომელ-
საც შეადგენს საოლქო და ცენტრალური საბ-
ჭოების წარმომადგენლები. კავშირის საბჭო
იკრიბება სამხელ წელიწადში.

ამას გარდა ამ ჟამათ არსებობენ შემდეგი
კომიტეტები:

1) **სათადარიგო კომიტეტი**--კავშირის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა, იკრიბება წელიწადში 4-ჯერ.

2) **საფინანსო კომისია**—ინიშნება ზემოხსენებული კომიტეტის მიერ და საერთო მდივნის მეთაურობით აწარმოებს ანგარიშებს, იძლევა ჩეკებს, იხილავს გასავლის ანგარიშებს და სხვ.

3) **სწავლა-განათლების კომიტეტი**, რომელშიც შედიან ქალთა გილდიის წარმომადგენლებიც, იკრიბება არა ნაკლებ ოთხისა წელიწადში; ხელმძღვანელობას უწევს სწავლა-განათლების გავრცელებას, აწყობს კურსებს კოოპერაციის ისტორიისა, პრინციპებისა და საკოოპერაციო ბუხგალტერიის შესასწავლათ და სხვ. ბეჭდავს ლექციების წლიურ პროგრამას, აწვდის კოოპ—ვებს მასწავლებლებსა და სამოსწავლო მასალებს, იძლევა ატესტატებსა და საჩუქრებს;

4) **საინსტრუქტორო კომიტეტი**: ადგენს სამაგალითო წესდებებს, ათვალთვრებს საზოგადოებებს, იძლევა რჩევას—დარიგებას უსასყიდლოთ, იმუშავენ ადგილობრივი კავშირების წესდებას, ზრუნავს საწარმოო და სამრეწველო დაწესებულებებში საქმის სამაგალითოდ დაყენებაზე;

5) **შეერთებული საპარლამენტო კომიტეტი**—შემდგარია საკავშირო საბჭოსა და სამი პარტიოზით მყიდველი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან; იგი ზრუნავს კოოპერაციის უფლებრივ პირობებზე, თვალ-ყურს ადევნებს საკოოპერაციო კანონების გამოცემას, იხილავს და ადგენს საკოოპერაციო კანონ-პროექტებს და იცავს კოოპერატიულ საზოგადოებათა ინტერესებს პარლამენტში;

6) **კოოპერატორთა და ტრედ-იუნიონთა შეერთებული კომიტეტი** — ზრუნავს მუშებთან და მოსამსახურეებთან ყოველივე უთანხმოების ჩამოშორებაზე;

7) **საგამოფენო კომიტეტი** — მართავს გამოფენებს თავის ზედამხედველობის ქვეშ;

8) **შეერთებული საპრაპაგანდო კომიტეტი** თავის წარმომადგენლების საშუალებით აძლევს საზოგადოებებს პრაქტიკულ რჩევას — დარიგებას, აწვდის საჭირო ცნობებს კოოპერატივების დამაარსებელთ, იძლევა აგრეთვე დახმარებას ფულის სესხებით;

დასასრულ: 9) **საერთაშორისო კომიტეტი** აგროვებს ცნობებს სხვა ქვეყნების კოოპერატივებზე, ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო საკოოპერაციო კონგრესებზე, აგზავნის დელეგატებს უცხოეთის კონგრესებზე.

ამათ გარდა საჭიროების დაგვართ ირჩევენ დროებით კომიტეტებს.

ყოველწლივით, ჩვეულებრივ თომას კვირაში, იკრიბება საკავშირო კონგრესი, რომელსაც ესწრება 1200—1500 წარმომადგენელი ყველა კოოპერატივებისგან. კონგრესი იხილავს კოოპერაციის პრინციპიალურ საკითხებს, რის გამო მას უწოდებენ „საკოოპერაციო პარლამენტს;“ ისმენს საბჭოსა და კომიტეტების მოხსენებებს, ამტკიცებს სამუშაო გეგმას და ნიშნავს ადგილს შემდეგი კონგრესისთვის. კონგრესის პრეზიდენტი ირჩევს კავშირის საბჭო; მის კანდიდატურას აყენებს წინანდელი კონგრესის პრეზიდენტი, რომელიც ღებულობს ვიცე-პრეზიდენტის წოდებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირში უფროს მდივანს, რომელსაც ნიშნავს საბჭო. ის არის ფაქტიური ხელმძღვანელი კავშირისა და მომხსენებელი კონგრესებზე; ახლა მდივნის ადგილი უკავია მისტერ გრეის. ჩვენ შევჩერდით ასე დაწვრილებით ინგლისის კავშირის აგებულებაზე, რადგან ასეთი მთლიანი ორგანიზაცია არც ერთ სხვა სახელმწიფოში არ მოიპოვება. ამ კავშირს მიეწერება ინგლისის კოოპერაციის საოცარი განვითარება და მისთვის ფართე უფლებების მოპოვება, რითაც თამამად შეუძლიათ იამაყონ ინგლისელებს. კავშირში ღებულობს პირდაპირ მონაწილეობას ინგლისის საუკეთესო კოოპერატორები. ამ კავშირის გარეშე ინგლისის კოოპერატივები დაყოფილია „პროფესიებათ,“ მომხმარებელ საზოგადოებებისთვის დაარსებულია სამი პარტიობით მყიდველი კავშირი (ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში), რომლებიც აწვდიან თავის წევრებს 324,000,000 მანეთზე მეტის საქონელს; მათ მოყვება საწარმოო კოოპერატივების ფედერაცია (125 საზოგადოება), რომელიც ამზადებს 30,000,000 მანეთზე მეტის საქონელს წელიწადში; ინგლისის სამიწათმოქმედო კავშირი (268 საზოგადოება); ამნაირივე შოტლანდიისა (23 საზოგ.) და ირლანდიის (961 საზ.); შრომის ასოციაცია (112 საზ.); ცენტრალური კოოპერატიული საადგ.-მამულო ბანკი; საბანკო და დამზღვევი განყოფილებანი.

გავეცნოთ აგრეთვე, უფრო მოკლეთ, რა თქმა უნდა, გერმანიის საკოოპერაციო სისტემას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნობილია საკოოპერაციო მოძრაობაში განსაკუთრე-

ბული თვისებებითა და შემოქმედებით. გერმანიაში არ არსებობს და არცაა მოსალოდნელი საერთო კოოპერატიული კავშირი, როგორც ეს ინგლისშია. მაგრამ ყოველი კოოპერატივი შედის რომელიმე კავშირში და ეს ერთის მხრით გამოწვეულია საკოოპერაციო კანონით, ვინაიდან იმ საზოგადოებებში, სადაც არ არის შემოღებული კავშირის ანუ ამხანაგური ზედამხედველობა და კანტროლი, რევიზიას ახდენენ მთავრობის მოხელენი. აქაც კოოპერაციამ კავშირის საშუალებით გაიკათა გზა აწმყოსა და მომავლის შემოქმედებისაკენ. ამ ჟამათ გერმანიაში დაარსებულია სხვადასხვა საფუძვლებზე აგებული 17 კავშირი. დიდ ანუ საოლქო კავშირებში შედიან წევრებათ ადგილობრივი ანუ პროვინციალური კავშირები.

ყველა გერმანიის კავშირებისა, მით უმეტეს საკოოპერაციო დაწესებულებათა ჩამოთვლა მოითხოვს დიდ ადგილს. სისტემატიური შეკავშირების აუცილებელ საჭიროებაზე ნათქვამის დასამტკიცებლათ შევჩერდებით მხოლოდ ორ უმთავრეს კავშირზე.

პირველი კავშირი, რომელიც დაარსებულია შულცე-დელიჩის მიერ, პირდაპირ რომ ვთარგმნოთ გერმანულიდან, ატარებს ასეთ სახელს: „თვითმოქმედებაზე დამყარებული გერმანიის ეკონომიურ საზოგადოებათა **საყოველთაო კავშირი**.“ მისი შემადგენლობა ამ ჟამათ ასეთია:

შემნახველ-გამსესხებელი ამხ.	952
მომხმარებელი საზოგადოებანი	266
გადასამუშავ. მასალების მყიდველი ამხ.	24
სახლების ამშენებელი საზოგ.	123

ადგილ. ნაწარმ. გამყიდველი ამხ. 8

ადგილობრივი ნაწარმოების ამხ. 9

საქმეებს განაგებენ: მმართველი, აღმასრულებელი კომიტეტი, საერთო კომიტეტი და ყოველწლიური ყრილობები, რომელთაც იწვევენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში. გერმანიის შემადგენელ სახელმწიფოებში კავშირს აქვს სარევიზიო განყოფილებები, რომელთაც განაგებენ არჩეული დირექტორები და რევიზორები. ჩვეულებრივ საერთო ყრილობების წინათ სარევიზიო განყოფილებები იწვევენ რევიზორთა ყრილობას. კავშირს ნივთიერ დახმარებას აძლევენ მისი შემადგენელი კოოპერატივები. კავშირთან დაარსებულია შულცე-დელიჩის მიერ ყოველ-კვირეული ჟურნალი, რომელიც არკვევს კოოპერაციის პრაქტიკულსა და თეორეტიულ საკითხებს.

უფრო რთულია ორგანიზაცია „საიმპერიო კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო კავშირი“ — სა, გერმანიის უუდიდესი კავშირისა, რომელშიც შედიან რაიფაიზენის ტიპის ყველა ამხანაგობები.

ადგილობრივი ამხანაგობები 16,064

რაიონული კავშირები 40

ცენტრალური კასები და ცენტრალური ამხანაგობანი 65

რაიონული კავშირები ყოველწლობით იწვევენ ადგილობრივი კოოპერატივების წარმომადგენელთა ყრილობას. გერმანიის კავშირთა საერთო დაწესებულებებს წარმოადგენენ: კოოპერატიული ბანკი დარმშტადტში, კავშირების ცენტრალური სამმართველო, კავშირის წლიური კონგრესები, რომლებსაც იწვევენ საპროვინ-

ციო კონგრესების შემდეგ. კავშირთან და-
არსებულია მრავალი კომისია; მათ რიცხვში:
საკრედიტო კასების ცენტრალური კომისია;
პარტიობით მყიდველ ამხანაგობათა კომისია;
რძის პროდუქტების გამსაღებელ ამხანაგობათა
კომისია; პურის საექსპორტო ამხანაგობათა კო-
მისია; მეღვინეთა ამხანაგობების კომისია; შინა-
ურ ცხოველების კოოპერატიულათ გამსაღებ-
ელი კომისია; სამეურნეო მაშინების შემძენი კო-
მისია. თითოეული კომისია შესდგება კავშირის
პრეზიდენტისა და სათანადო ცენტრალური ამხა-
ნაგობების წარმომადგენლებისაგან. კომისიების
მიზანია კოპერატიულ დაწესებულებათა მთლი-
ანობა, მათი მოქმედების შეთანხმება და შეერ-
თებული ძალით საერთო საწარმოო განყო-
ფილებათა დაარსება. ასეთი ორგანიზაციის სა-
შუალებით ცენტრალური სამმართველო დიდ
გავლენას ახდენს საკოოპერაციო მოძრაობაზე
და შესანიშნავ ხელმძღვანელობას უწევს მას.
კავშირის კასის აღებ-მიცემა უკვე აჭარბებს
3,000,000,000 მარკას (მარკა—48 კ.).

სასოფლო-სამეურნეო კავშირების მოღვაწეო-
ბამ გამოიწვია გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო
შრომის საოცარი ვანვითარება. ამ კავშირებმა
მოუპოვა სოფლის მეურნეებს საჭირო კაპიტა-
ლი, კოოპერაციის მეოხებით ორგანიზატორის
როლს უკვე ჩამოშორებული.

კავშირის მნიშვნელობის გასათვალისწინე-
ბლათ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია. რა
გინდ კარგათ არ უნდა იყოს გამაგრებული ცალკე
ამხანაგობა, მას არც კი შეუძლია მიაკაროს ხე-
ლი ისეთ საქმეს, რომელსაც იოლათ იმორჩი-

ლებს ამხანაგობათა კავშირი, რომელიც ჩინებულად უმკვლავდება კაპიტალისტურ დაწესებულებათა მეტოქეობას.

ამიტომ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ შრომის კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს უკანასკნელის მთლიანობა, მთლიანი სისტემა ან მთლიანს მოძრაობაში ჩამოყალიბება, საწარმოო თანხისა და თავისუფალი ფულის მოგროება და მისი დაბანდება ისეთ დაწესებულებაში, სადაც ის საჭიროა. თავის განკარგულებაში მოქცეულ თანხებს კოოპერაცია განაგებს კულტურულათ, კაპიტალის ანუ ფულის საშუალებით ის არ ყოფს ადამიანებს კაპიტალისტებათ და მუშებათ, ყველას მოუწოდებს საერთო მუშაობისკენ და აქაც ის ახორციელებს ძმობისა, ერთობისა და თანასწორობის მოთხოვნებს. ინგლისისა და გერმანიის კავშირების მაგალითებმა დაგვანახეს, რომ ფართე კოოპერატიული კავშირების არსებობა არ არის ოცნება, — შესაძლოა, მაშასადამე, კოოპერაციის საშუალებით დიდი საქმის გაკეთებაც.

2. ჩვენ მიერ მიღებული განმარტების მეორე მოთხოვნით **კოოპერაცია უნდა იყოს ადამიანთა შეკავშირების ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი სისტემა.**

ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე კოოპერაციას აქვს თითქმის ასი წლის ისტორია. ეს დრო შრომის წინანდელ ორგანიზაციების ხანგრძლივობასთან შედარებით, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება დიდ ხანათ. და თუმცა უკანასკნელი წლების კულტურა ძლიერ უწყობს ხელს

ახალი ორგანიზაციის განვითარებას, მაგრამ საკოოპერაციო მოძრაობა მაინც დიდხანს იქნება „ახალი,“ რადგან მან თანდათანობით უნდა გააუქმოს თანამედროვე კაპიტალისტური და ძველი სისტემების ნაშთები და შექმნას ახალი ორგანიზაცია, თავისუფალი საზოგადოებანი და ამხანაგობები. ეს გარდაქმნა მომდინარეობს სტიქიურად, მომავალ საკაცობრივ ორგანიზაციაზე ამა თუ იმ წარმოდგენისთვის ანგარიშის გაუწევლათ, არსებული ორგანიზაციების გარდაქმნა თხოულობს ახალი ორგანიზაციების დამყარებას წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლაში. ახალი ფორმების განვითარება იწვევს ახალ განწყობილებას ადამიანთა შორის.

აქედან თავისთავად იბადება თავსამტვრევი კითხვა--- შესაძლოა თუ არა კლასიური კოოპერაცია? თავისუფალი უნდა იყოს კოოპერატივში შესვლა და იქიდან გამოსვლა, თუ არა?

გავარჩიოთ პირველი კითხვა. ამბობენ, რომ უფრო ადვილია პროფესიური კოოპერატივების დაარსება---მაგ. მომხმარებელი საზოგადოება მუშებისა, მოხელეთა, ნოქრებისა, გლეხებისა და სხვ. საკრედიტო ამხანაგობებიც პროფესიური უნდა იყოსო, ერთი პროფესიის საკრედიტო კოოპერატივში არ უნდა მიიღებოდეს მეორე პროფესიის წარმომადგენელი; თუმცა ის მის კარებთანაც რომ ცხოვრობდესო. თუ ამ კითხვას ვიწროთ შევხებით, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ეს საქმისათვის ხელსაყრელია, ვინაიდან ყოველივე დაწესებულების დაარსება და მით უმეტეს მისი მართვა-გამგეობა უფრო ადვილია ერთმანეთთან

უკვე გაცნობილ პირთა წრეში. და თუ ასე დავაყენებთ კითხვას: კლასიური, თუ არავითარი კოოპერატივი? — პასუხი შესაძლოა იქნეს მხოლოდ ერთი: ყოველი „კოოპერატიული“ დაწესებულება ხელს უწყობს საერთო საკოოპერაციო მოძრაობას, ამიტომ უკეთესია რაიმეს გაკეთება, ვინემ არაფრის.

სულ სხვანაირი იქნება პასუხი მაშინ, როცა ჩვენ ვამყარებთ საკითხს კოოპერაციის პრინციპებზე: ახალ სისტემაზე ადამიანების შესაკავშირებლათ საჭიროა — წევრთა შორის მეზობლური ინტერესების არსებობა, მათი ბინების სიახლოვე კოოპერატივთან. ამ პრინციპს შესაძლოა დაჭირდეს ზოგიერთი დამატება მხოლოდ საფაბრიკო და საქარხნო კოოპერატივებისათვის, მაგრამ ეს იქნება გამონაკლისი, და არა ძირითადი ნიშნები ამხანაგობისა.

მეზობლები შესაძლოა იყვნენ სხვადასხვა კლასისა და მდგომარეობის. შესაძლოა თუ არა მათი ინტერესების შეთანხება საერთო კოოპერატივში? პირველ ხანებში კოოპერატივი ვერ მისცემს ერთნაირ სარგებლობას ყველა წევრებს, კოოპერატივი პირდაპირ სარგებლობას აძლევს მხოლოდ ღარიბებს, ღარიბები კი თანამედროვე საზოგადოებაში შეადგენენ დიდ უმეტესობას: კოოპერაციის მიზანიც სწორეთ მათი ცხოვრების გარდაქმნაა. სულ სხვანაირი იქნება სურათი, როცა განვითარდება კოოპერატიული ცხოვრება: კოოპერატიულათ შეკავშირებულ წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლაში იშვიათი მოვლენა იქნება, რომ ვინმემ მოახერხოს მასში პირდაპირი მონაწილეობის მიუღლებლობა, რად-

გან ყოველი მხარჯველი აუცილებლათ მწარმოებელიც უნდა იქნეს. ასეთია კოოპერაციის საბოლოო მიზანი. არც ესაა უტოპია: ინგლისის კოოპერაციამ უკვე წამოაყენა ბაღებში ჩაფლოვლი კოოპერატიული ქალაქის პროექტი.

მეორე კითხვა ასეთია: სასურველია თუ არა, რომ კოოპერატივები აგროვებდენ გაუყოფელ საწარმოო თანხას და ამით იზღუდებოდეს წევრთა უფლება, რადგან კოოპერატივიდან ამა თუ იმ მიზეზით გამორიცხვის დროს მათ უნდა დაჰკარგონ ყველაფერი, რაზედაც უმუშავენიათ, თუ პირ-იქით უმჯობესია, რომ მოგება ეწერებოდეს წევრებს შესაფერი პროპორციით და გასვლის დროს ხვედრი ფული მათვე უბრუნდებოდეს?

პირველ გადაწყვეტილებას ემხრობიან უმეტესად ამა თუ იმ დაწესებულებებთან დაარსებული საზოგადოებები. მაგრამ აქ აშკარად მოსჩანს კაპიტალისტ-მრეწველის პსიხოლოგია: რა ჯობია საკუთარი კაპიტალის ზრდა-განვითარებას, რომლითაც წარმოება უზრუნველყოფილი ხდება ყოველნაირ შემთხვევებისა და თვით წევრთა განწყობილებისაგანაც. ამ თვალთახედვის ისრით ამხანაგობა, რომელსაც ჩინებულათ შეუძლია იარსებოს მაშინაც კი, როცა წევრთა რიცხვი მცირდება, შესაძლოა დარჩეს კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციას, იმუშაოს საკოოპერაციო მოძრაობის სასარგებლოთ საერთოდ და... კერძოდ იმ დაწესებულებისათვის, რომელთანაც ის დაარსებულია, თუ იგი დამოკიდებულია მისგან.

ისტორიამ უკვე დაამტკიცა, რომ ძნელია ასეთი წესით აღამიანთა შეკავშირების ახა-

ლი სისტემის განვითარება. უპირველეს ყოვლისა ჩვენს მოძრავე საუკუნეში ძნელია მუდმივი ცხოვრება ერთ ადგილას, და რაკი წევრს არა აქვს იმედი, რომ ის ყოველთვის ისარგებლებს კოოპერატივით, ამიტომ ის არ არის ჯეროვანათ დაინტერესებული კოოპერაციის განვითარებით. ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოოპერაცია არ ისახავს მიზნათ წევრის ყოველივე მოღვაწეობის ერთ ფარგალში ჩამოყალიბებას; მისი მიზანია საერთო ძალ-ღონით, სხვადასხვა კავშირების საშუალებით დააკმაყოფილოს წევრთა სხვადასხვა მოთხოვნილებანი. სასურველია, მაგალითად, რომ გლეხი იღებდეს მონაწილეობას ერთ და იმავე დროს მომხმარებელ, საკრედიტო, საელევატორო, სარძეო, სამეურნეო და სხვა კოოპერატივებში, რომლებიც დაარსებულია თუმცა ერთი რაიონის მცხოვრებლების მიერ, მაგრამ სხვადასხვა დანიშნულებით. თუ ყველა ეს კოოპერატივები დაისახავენ მიზნათ საკუთარ თანხების შედგენას (გარდა აუცილებლათ საჭირო საწარმოო და სათადარიგო თანხებისა), მაშინ გლეხი არავითარ სარგებლობას არ დაინახავს კოოპერაციაში და ადვილათ შესაძლოა, რომ ცხოვრებას ჩამოშორებული კოოპერაციის იდეა ოუენის დროს განვლილ უტოპიათ იქცეს.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს „როჩდელის პიონერთა“ დადგენილებას, რომ მოგების განსაზღვრული ნაწილი უნდა ურიგდებოდეს წევრებს დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი ნაწილი ხმარდებოდეს საქმის გაფართოებას, იმ პირობით, რომ გამოსვლის დროს წევრს დაუბრუნდეს ხვედრი მოგება პროცენტების მიმა-

ტებით. ინგლისის კოოპერაცია მტკიცედ ადგია ამ გზას. იქაური მომხმარებელი კოოპერატივების სამაგალითო სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ახლა საზოგადოებების საპაიო თანხა აღემატება 21 მილიონ გირვანქა სტერლინგს (გირვ. სტერლ.-9 მ. 40 კ.), სესხი—4 მილ. გირვ. სტ., ხოლო გაუყოფელი, საზოგადო ანუ დასაზღვევი და სათადარიგო თანხა, ორივე ერთად, საპაიო თანხის მეოცედსაც არ შეადგენს,—ღივიდენდებთ კი არიგებენ ყოველ წლობით (ნაწილს პაებში ტოვებენ) ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. გამოდის, რომ ხალხის პსინხოლოგიისთვის გვერდის ახვევა შეუძლებელი ყოფილა.

ამნაირათ თანამედროვე კოოპერაციის არსებით განსხვავებას წარმოადგენს შრომის შეკავშირების ახალი, თავისუფალი ფორმის შექმნა, ძველ ეკონომიურ პირობებისა და მათგან წარმოშობილი საზოგადო კლასებისგან დამოუკიდებლათ. ეს ფორმა ანუ სისტემა ყველა არსებულ სისტემებზე უფრო კულტურულია: ის ხელს უწყობს წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და იმავე დროს სრულ თავისუფლებას ანიჭებს წევრებს, როგორც თავიანთს თვითმოქმედებაში, ისე საზოგადო ქონების მართვა-გამგეობაში: შრომის კავშირის ახალი სისტემის ნიადაგზე საოცრად ვითარდება შრომის ერთობა და ადამიანთა დაახლოება ერთმანეთთან. ამას იწვევს შეერთებული ძალით მუშაობა, ურთიერთ შორის დახმარება, თვითმოქმედება, ძმობა და სიყვარული. ერთობრივი მუშაობა, ეჭვს გარეშეა, მომავალში შექმნის ერთობის კიდევ უკეთეს ფორმას, რომლის წარმოადგენა ახლა ერთობ ძნელია.

3. კოოპერაცია არის ადამიანთა შეკავშირების **დამოუკიდებელი** სისტემა.

საკოოპერაციო მოძრაობა, როგორც ვიცით, ისახავს ძლიერ ფართე მიზანს: შეაკავშიროს ახალ სისტემაზე — არც მეტი, არც ნაკლები — მთელი კაცობრიობის შრომა და საამისო გზა მან კიდევ გამონახა. ამ მოსაზრებით კოოპერაციას უწოდებენ „დამოუკიდებელს,“ ე. ი. მას აღიარებენ ისეთ მოძრაობათ, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი იდეალი და ინტერესები.

ერთის შეხედვით ასეთი მდგომარეობა ბუნებრივია და ადვილათ გასაგებიც, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს.

კოოპერაციის განვითარება შესაძლოა მხოლოდ ფართე მასის მონაწილეობით. მაგრამ ადამიანები ცხოვრობენ არა მარტო ეკონომიური ინტერესებით; შრომის ორგანიზაციის ძველმა და ახლანდელმა კაპიტალისტურმა სისტემებმა გამოიწვიეს ცხოვრებაში მრავალ რიცხოვანი რელიგიური და პოლიტიკური პარტიები, საკმაოდ მძლავრები და ენერგიულათ მომუშავენი. იმავე მასის საშუალებით თითოეული მათგანი ცდილობს თავის იდეალების განხორციელებას.

ამიტომაც არის, რომ თითქმის კოოპერაციის წარმოშობიდანვე განუწყვეტლივ ცდილობენ საკოოპერაციო მოძრაობის პოლიტიკურ თუ რელიგიურ პარტიაზე მიმხრობას, მის გამოყენებას იმ მიზნების განსახორციელებლათ, რომლებიც არსებითად სრულებით არ არიან დაკავშირებული კოოპერაციასთან, ხშირად კი პირდაპირ განსხვავდებიან კოოპერაციის დანიშნულებას.

ბისაგან. კოოპერაციის ძლიერამოსილება და მის-
გან შექმნილი სიმდიდრე ძლიერ აინტერესებს
რელიგიურ და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

სამწუხაროთ, ასეთ ლტოლვილებებს გასავა-
ლი აქვს ცხოვრებაში. დღემდი მხოლოდ ერთმა
ინგლისის კოოპერაციამ შესძლო თავის დამოუ-
კიდებლობის დაცვა. კოოპერატიული კავშირის
კონგრესები ყოველთვის უარყოფდენ კოოპერა-
ციაში პოლიტიკისა და სარწმუნოების არევას.
გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგია-
ში კოოპერაცია დაქუცმაცებულია პოლიტიკურ
და ხშირად რელიგიურ პარტიებათ. განხეთქი-
ლება მწვავე მიმართულებას იღებს და იწვევს
ხშირად მტრობასა და სიძულვილს კოოპერატი-
ვებს შორის. ეს გარემოება ძლიერ ცუდ გავ-
ლენას ახდენს საერთო საკოოპერაციო მოძრა-
ობის განვითარებაზე. ნეიტრალურ კოოპერატი-
ვების გამგენი ანგარიშს უწევენ ამას, ლაპარა-
კობენ, სწერენ, ეძებენ ნიადაგს საერთო, მხო-
ლოდ საკოოპერაციო მოღვაწეობისათვის, მა-
გრამ ჯერ კიდევ არ მოღებია ბოლო ამ არევ-
დარევას. გათიშვა უფრო ადვილია, ვინემ შეე-
რთება. არსად არ არსებობს ამიტომ ინგლისუ-
რი „კოოპერატიული კავშირი,“ მისთვის ჯერ
კიდევ ყველგანაა საჭირო „პიონერები.“

კოოპერაციისათვის სრული დამოუკიდებლო-
ბის აუცილებელი საჭიროება აშკარად მტკიცდება
შემდეგი მაგალითიდან. არსებობს სარწმუნოებრი-
ვი თემი „ДУХОБОРЬ“-ი. ეკონომიური ცხოვრე-
ბა თემისა კოოპერატიულია, კოოპერაციაზე
უფრო სოლიდარულიც, რადგან ზოგიერთ შემთ-
ხვევებში აღიარებს ქონების საზოგადოებრი-

ობას. ეს არის ძლიერ მაგარი ორგანიზაცია, მაგრამ მას კოოპერაციას არავინ უწოდებს და არც შეიძლება მისთვის ასეთი სახელის წოდება. შემაკავშირებელია აქ არა საერთო მუშაობა, არამედ სარწმუნოების დოგმატები. საკმარისია, რომ წევრს რაიმე ეჭვი შეეპაროს დოგმატებში, რომ ის იძულებული შეიქნეს გამოირიცხოს თემიდან, თუმცა ძალიანაც რო სურდეს მის ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობის გაგრძელება. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება მრავლათ. ასეთივე ხასიათისაა ის კოოპერატივებიც, რომლებმაც თავისი ბედ-იღბალი პოლიტიკურ პარტიებს დაუმორჩილეს, — ნამდვილათ ისინი განსაკუთრებული პარტიული საოჯახო ორგანიზაციებია, და არა კოოპერატივები.

ჩვენ ეს-ეს არის მივედით იმ დასაკვნამდე, რომ კოოპერატივის დასაარსებლათ საჭიროა ორი პირობა: მჭიდრო მეზობლური დამოკიდებულება კოოპერატორებს შორის და თავისუფალი, ნებაყოფლობითი შეთანხმება წარმოებისა თუ შრომის ნაყოფის გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე. ცხადია, თუ ამ პირობას მივუმატებთ მოთხოვნილებას სარწმუნოებისა თუ პოლიტიკური რწმენის შესახებ, მაშინ ლაპარაკი ცმეტი იქნება საერთო კოოპერატივის არსებობაზე: შესაძლოა დაარსდეს მრავალი ამხანაგობა, მაგრამ „კოოპერაციის სისტემაზე“ ამ შემთხვევაში ლაპარაკი ცმეტი იქნება.

დღესაც დაუფასებელია ამიტომ როჩდელის პიონერთა დადგენილება კოოპერაციის სრულ ნეიტრალობაზე, რომელიც მიღებულ იქნა, მასთან, პოლიტიკური ცხოვრების გამწვავებულ

ხანაში: „განიდევნოს კოოპერაციიდან პოლიტიკა და რელიგია, არავითარი შეკითხვა ამხანაგ-კოოპერატორს არც იმაზე, თუ რომელ ღმერთსა სცემს იგი თაყვანს, და არც იმაზე, თუ რომელი პოლიტიკური მიმართულების მიმდევარია!“ აი ბრძნული დადგენილება როჩდელის პიონერებისა, რომელიც დაედვა საფუძვლად საკოოპერაციო მოძრაობას ინგლისში.

საერთოდ კოოპერაციის დამოუკიდებლობის დასაცავათ აუცილებელია სპეციალური საკოოპერაციო კანონების გამოცემა, სახელმწიფოს მიერ მისი უფლება-მოვალეობის აღიარება.

აღორძინდა საკოოპერაციო მოძრაობა, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, სრულებით სტიქიურათ, არც ერთი სახელმწიფოს კანონდებლობა ვერ იქნა მისთვის შესაფერი. არის მოთხრობა პირველ კოოპერატივსა და მის გამგეს შორის ატეხილ დავაზე. დაარსდა კოოპერატივი, მაგრამ არავითარი აკტი, არავითარი ხელშეკრულობა არ დაწერილა ამის შესახებ, რადგან ინგლისის კანონებმა არ იცოდა ასეთი „იურიდიული დაწესებულება.“ საქონელს ყიდულობდნენ და ყოველსავე პირობას სწერდნენ გამგის სახელზე. მაგრამ ერთხელ გამგე წაეჩხუბა გამგეობას, აიღო და გადაიტანა მთელი საქონელი თავის სახლში. შეუძლებელი გახდა საქონლის გამობრუნება კანონიერი გზით. მოიყარეს თავი წევრებმა, შეარჩიეს დრო, გაემართენ გამგის სახლისკენ, როცა ის შინ არ იყო: წამოიღეს საქონელი უკან და დააყენეს დუქანთან დარაჯები, რომ არ შემოეშვათ ყოფილი გამგე. ისტორია არ ამბობს, თუ რით გათავდა ეს საქმე, მაგრამ რომ ეს სასა-

მართლომდი მისულიყო, გაამტყუნებდენ უსათუოდ საზოგადოების წევრებს, და არა გამგეს. რომ რაიმე უფლება მოეპოვებია, როჩდელის საზოგადოება ჩაეწერა სასამართლოს რეგისტრში, როგორც საქველმოქმედო დაწესებულება. ასე მოიქცენ სხვა საზოგადოებებიც, — შესაძლოა ამიტომაც იყოს, რომ დღემდი კოოპერაცია ბევრს საქველმოქმედო დაწესებულება ჰგონია.

მხოლოდ 1852 წელს გამოიცა ინგლისში კანონი სამრეწველო და შემნახველ ამხანაგობებზე; ათი წლის შემდეგ გამოვიდა ამ კანონების დამატება, რომლითაც ინგლისის კოოპერაცია დღემდი ცხოვრობს. გერმანიაში საკოოპერაციო კანონი გამოვიდა პირველად 1889 წელს! ასეთი მოკლე ისტორია აქვს საკოოპერაციო კანონმდებლობას!

აუცილებელი საჭიროა სპეციალური კანონი კოოპერაციისათვის, რადგან ის არსებითად განსხვავდება კაპიტალისტურ დაწესებულებებისგან, რომელთათვის დიდი ხანია არსებობს შესაფერი კანონები. ყველა კაპიტალისტურ დაწესებულებებში სავალდებულოა ანუ კაპიტალის განსაზღვრა მონაწილეთა შემადგენლობაში ცვლილების დაშვებით (აქციონერული საზოგადოება), ანუ აღნიშნვა მუდმივ მონაწილეთა, რომელთაც უფლება აქვთ შეამცირონ ან გაადიდონ საწარმოო თანხა (ამხანაგობები სრული და ნდობაზე დამყარებული): კოოპერაციაში კი ცვალებადია, როგორც წევრთა შემადგენლობა, ისე საწარმოო თანხის რაოდენობა, ამიტომ ის არც ერთ კაპიტალისტურ ამხანაგობის კანონს არ უდგება. შესაძლოა, რა თქმა უნდა, კოოპერა-

ტიული ამხანაგობის დაარსება კერძო პირობით, მაგრამ ასეთი წესი ყოველი ახალი წევრის შემოსვლაზე მოითხოვს ახალი პირობის დაწერას და სხვა ფორმალურ მოთხოვნებთანა დაცვას. ამ გზით ხელსაყრელია მხოლოდ პატარა საზოგადოების დაარსება.

არსებობს საკოოპერაციო კანონდებლობის განსაკუთრებული ფორმა, — ეს არის ნორმალური წესდების გამოცემა კოოპერაციის ცალკე ფორმებისათვის. რა თქმა უნდა, სულ არარაობას ესეც ჯობია, მაგრამ ამით კოოპერაციის „დამოუკიდებლობა“ კაპიტალისტურ ამხანაგობებზე უფრო შეზღუდული რჩება, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მათ აარსებენ გამოცხადებითი წესით. ამნაირათ კოოპერაციის განსავითარებლათ აუცილებელი საჭიროა „დამოუკიდებლობა“: **შინაური** — პოლიტიკური და რელიგიური გავლენა — განხეთქილებისაგან; **გარეგნული** — სახელმწიფოსგან სრულუფლებიან იურიდიულ პიროვნებათ აღიარება: კოოპერაცია არაფერს არ მოითხოვს ამით გარდა იმისა, რაც უკვე აღიარებულია — დაკანონებულია სხვა იურიდიულ პიროვნებათათვის.

სულ სხვა მდგომარეობაში ვარდებიან ის კოოპერატივები, რომლებიც თხოულობენ სახელმწიფოსგან დახმარებას და ფაქტიურად კიდევაც სარგებლობენ ასეთი დახმარებით. რაკი სახელმწიფოს ფულები იბანდება ამა თუ იმ ამხანაგობაში — სულ ერთია კოოპერატიულია ის თუ არა — მთავრობას არა აქვს უფლება უკანტროლოთ დატოვოს სახელმწიფო ინტერესები და ადვილი გასაგებია, რომ ასეთ შე-

მთხვევაში იზღუდება კოოპერატივების „დამოუკიდებლობა“.

4. ჩვენ ვამბობთ რომ კოოპერაცია არის ადამიანთა შეკავშირება წარმოებისა და ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლის საერთო ძალ-ღონით წარმოების ასპარეზზე ანუ, სხვანაირათ, ორგანიზაცია **ზრომისა** მასთან კაპიტალის დამორჩილებით.

მაგრამ ყველა საკოოპერაციო პროგრამებში ჩვენ ვამჩნევდით, რომ, გარდა საქმიანობისა, კოოპერაცია ყურადღებას აქცევს აგრეთვე ქველმოქმედებას, თვითგანვითარებას და საერთოდ არა მარტო ნივთიერს, არამედ—გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც. იბადება კითხვა: რანაირი დამოკიდებულება აქვს გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საკოოპერაციო მოძრაობასთან?

ჩვენ უფრო სწორ პასუხს გავცემთ ამ კითხვაზე, თუ მოვიგონებთ იმ შემთხვევებს, რომ არაეკონომიური კულტურული მოღვაწეობა შესაძლოა სწარმოებდეს და კიდევ სწარმოებს ყოველნაირ საზოგადო დაწესებულებაში. ყოველ დასახლებულ და ცოტათ თუ ბევრათ კულტურულ ადგილებში აარსებენ კლუბებს, საქველმოქმედო და სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებებს და სხვ. აგრეთვე ყოველი მსხვილი სამრეწველო დაწესებულება აარსებს თავის მოსამსახურეთა და მუშებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებსაც მართავს ორგანიზატორი-კაპიტალი არა თავის პირადი ინტერესებისათვის მხოლოდ არამედ იმიტომ აგრეთვე, რომ გაუმჯობესდეს მშრომელთა მდგომარეობა. ავიღოთ მაგალითი-

სათვის რკინის გზის დაწესებულებანი. ყოველ რკინის გზას აქვს თავისი სასწავლებლები, რომლებსაც აარსებენ როგორც პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, — სპეციალისტ-ტექნიკოსების მომზადება, — ისე მოსამსახურეთა მოთხოვნილობების დასაკმაყოფილებლათ — საერთო განათლების მიცემა მოსამსახურეთა შვილებსათვის. ყოველი რკინის გზა აარსებს გასართობებს, მართავს ლექციებს, წარმოდგენებს და სხვ.

კოოპერაციას, როგორც ერთნაირ კულტურულ-ეკონომიურ სისტემას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია იარსებოს კულტურულ დაწესებულებებს გარეშე. კულტურულ დაწესებულებების საშუალებით იგი ამტკიცებს წევრთა შორის მეგობრულ დამოკიდებულებას, ძმობას, ერთობასა და სიყვარულს, ავრცელებს მასაში საკოოპერაციო მოძრაობის იდეასა და მის პრინციპებს.

მაგრამ, როგორც რკინის გზებს აკეთებენ სპეციალური დანიშნულებით, და არა სკოლებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დასაარსებლათ, ისე კოოპერატიულ დაწესებულებებსაც აარსებენ სპეციალურის დანიშნულებით — შრომის შესაკავშირებლათ იმ ახალ სისტემაზე, რომელიც თავისთავად იწვევს კულტურული მოღვაწეობის გაჩაღებას.

რომ ასეთი შეხედულება ყველაზე უფრო შეეფერება სინამდვილეს, მტკიცდება იმით, რომ გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კოოპერატივები ემსახურებიან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ღონიერდებიან ეკონომიურათ, ისე კი რამდენიც არ უნდა უქაქანოთ კოოპე-

რატივის წევრებს კულტურულ მოღვაწეობაზე ამ ნიადაგზე მათ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგმენ ვივით წინ.

კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას აადვილებს კოოპერატიული კავშირების განვითარება. ამ გზას ადგიან ინგლისის საზოგადოებები. როჩდელის პიონერებმა შეიტანეს თავის პრაგრამაში „წევრთა განვითარება“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა წერა-კითხვა ძლიერ იშვიათი მოვლენა იყო ინგლისელ მუშებს შორის, თითქმის სულ არ არსებობდა სახელმწიფო სასწავლებლები, სწავლა-განათლების სურვილი კი დიდი იყო. ახლა პირველდაწყებითი სწავლა-განათლების საქმეს აწესრიგებს სახელმწიფო, მასში მონაწილეობას იღებენ კოოპერატივები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მათი კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა გამოიხატება ახლა ბიბლიოთეკების დაარსებაში, ლექციებისა და კურსების გამართვაში და სხვ.

ინგლისში ამ საქმეს კოოპერატივები ანდომებენ წმინდა მოგების 1-დან დიდი-დიდი $2^{1/2}$ პროცენტამდე. ასეთი საშუალებით ბევრს ვერ გააკეთებდენ, რომ კულტურულ-განმანათლებელ მიზნისთვის გადადებული თანხები სრულებით არ შედიოდეს კავშირთა კასებში. შეერთებული ძალით კავშირები იჭირავებენ გამოცდილ ლექტორებს, რომლებსაც აგზავნიან რიგ-რიგობით საზოგადოებებში, ადგილ-ადგილ კი მართავენ საკოოპერაციო კურსებსაც.

მაგრამ ინგლისში კოოპერატივები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოოპერაციის იდეისა და საერთოდ საკოოპერაციო ცოდნა-

განვითარების გავრცელებას, და არა საერთო სწავლა-განათლებას. ამაზე ზრუნავს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები. ჩვენს დროში ყოველი დაწესებულება ცდილობს გააცნოს ხალხს თავისი უპირატესობანი. კოოპერაციაც, რა თქმა უნდა, ამ გზას უნდა დაადგეს. ეს არის რეკლამა, მაგრამ რეკლამა ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობისა: თავის უპირატესობათა აღნუსხვა საზოგადო კეთილდღეობისათვის, და არა პირადი სარგებლობისთვის. უფრო სამართლიანი იქნება, რომ საზოგადოებები ამ მიზნისთვის გაწეულ ხარჯებს შეიტანდენ პირდაპირ საწარმოო ხარჯთაღრიცხვაში, რადგან მათ არც ერთი საქმე არ მოუტანს იმდენ სარგებლობას, რამდენსაც უწევრებს შორის კოოპერაციის იდეისა და სახელმძღვანელო პრინციპების გავრცელება.

ყველა ზემო ნათავამიდან ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ „განყენებითი“ პასუხი გავცეთ დასაწყისიდანვე წამოყენებულ კითხვაზე: „რა არის კოოპერაცია“? მაგრამ ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რა არის უკვე გახორციელებული ნათქვამიდან და რა ზომები უნდა მივიღოთ, როგორი უნდა იქნეს ჩვენი მუშაობა, რომ მართლა განვახორციელოთ კოოპერაციის დანიშნულება?

ამიტომ შემდეგ ნაწილში ჩვენ უნდა გავცნოთ კოოპერატიული თანამშრომლობის არსებულ ფორმებს და გავითვალისწინოთ მომავლის ის პერსპექტივები, რომლებსაც უკვე საკმაოდ აშუქებს კოოპერაციის დღევანდელი მდგომარეობა.

რედაქციისაგან.

დასავლეთ ევროპაში ამ ბოლო ხანებში დაიწყო სახალხო წიგნების გამოცემა ნაწილ-ნაწილ (რომ გაუადვილდეს ხალხს მათი შეძენა).

ჩვენ კი, მართალია, განზრახული გვქონდა „კოოპერაციის სისტემის“ გამოცემა ერთ წიგნათ, მაგრამ ქუთაისში იმ ქალაქის გამოღვევამ, რომელზედაც ომის გამოცხადებამდი უკვე დაიბეჭდა ორი ფორმა და ორიც აწყობილი დაგვიჩა, გამოიწვია ზემო დასახელებული მაგალითისათვის წაბადვა.

მეორე და მესამე ნაწილს დაერთობა ვრცელი წინასიტყვაობა საკოოპერაციო მოძრაობის შესახებ ახალი ცნობებით და თვით „კოოპერაციის სისტემის“ ზოგიერთ ადგილებზე მთარგმნელის შენიშვნით. მათი შინაარსი ასეთია: 1) წინასიტყვაობა; 2) კოოპერაცია ევროპაში (პრაქტიკა); 3) კოოპერაციის მომავალი; 4) კოოპერაცია რუსეთში; 5) კოოპერაცია საქართველოში (დამატება); 6) როგორ უნდა განვაერთაოთ საკოოპერაციო მოძრაობა; 7) საგუბერნიო კავშირის ძირითადი დებულებანი (დამატება).

ამ წიგნის ავტორი დამაარსებელია მომხმარებელ საზოგადოებათა მოსკოვის კავშირისა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ამავე კავშირის ორგანოსა და მოსკოვის სახალხო ბანკის დაარსებაშიც. მისმა წიგნმა საპატიო ადგილი დაიკავა რუსულ საკოოპერაციო ლიტერატურაში, და, თუ ამან ოდნავ მაინც დააინტერესა ჩვენი მკითხველები, — II და III-ე ნაწილის გამოცემას დაუყოვნებლივ შევუდგებით საუკეთესო ქალაქდზე, რომელიც ჯერ კიდევ იმოგვება ქუთაისში.

ჩვენი კოოპერატივის საქურადღებოთ:

კოოპერატივების გამგენი მწვავეთ გრძნობენ სახელმძღვანელოს უქონლობას ქართულ ენაზე. ანგარიში რომ ქვაკუთხედია მომხმარებელი კოოპერატივის, — ეს დღეს ყველამ კარგათ იცის, მაგრამ სწორედ სახელმძღვანელოს უქონლობა დიდათ აფერხებს კოოპერატივების მართვა-გამგეობასა და მათი საქმეთა და ანგარიშების წარმოებას.

„კოოპერაციის“ რედაქციამ გადაწყვიტა ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგეს სახელმძღვანელოს გამოცემას:

„მომხმარებელი საზოგადოების დაარსება და მისი საქმეთა და ანგარიშების წარმოება“.

ამ გამოცემისათვის ჭიათურის მომხმ. საზოგ. „ჩვენი ოჯახი“ს გამგემ უკვე გადადო ხუთი თუმანი. რედაქცია იმედოვნებს, რომ სხვა საზოგადოებანი და კერძო პირებიც გაუწევენ მას დახმარებას შეძლების-დაგვარათ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება პირდაპირ იმ სტამბაში, სადაც იბეჭდება ეს წიგნი, შემდგენის ადრესით: გ. Кутаисъ. Типографія Грамотности. „კოოპერაციის სახელმძღვანელოს ანგარიშში“ (ღია ბარათით უნდა ეცნობოს ამის შესახებ რედაქციასაც).

33

გ 471

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა :

ჟურნალი „კოოპერაცია“ ღირს წლიურათ
 3 მ. 50 კ. წლიური ხელის მომწერლები
 საკოოპერაციო ბიბლიოთეკის ყველა ნომრე-
 ბს უფასოთ ღებულობენ. დაწვრილებით
 „კოოპერაციის“ № 25 — ში.

კოოპერატივების დასაარსებლათ საჭირო რჩევა-
 დარიგებისა, წესდების პროექტებისა და სახელ-
 მძღვანელო წიგნების მიღება შეიძლება ჟურ-
 ნალ „კოოპერაციის“ რედაქციისაგან.

მისამართი: Кутаисъ. Редакція грузинскаго
 журнала „Кооперация“, почт. ящ. № 68.

ფასი 20 მან.
